"ვ ა მ ტ კ ი ც ე ბ "

საერთო დანიშნულების
სახელმწიფო მომსახურების
სფეროს აუდიტის
დეპარტამენტის უფროსი

ფრიდონ შენგელია

„---25---“ ---03--- 2015 წელი

ეგზ. N1

საქართველოს ფინანსთა სამინისტროს ცენტრალური აპარატის

2013 წლის ფინანსური და 2012 -2013 წლების შესაბამისობის

აუდიტის ანგარიში 01/24/00

შინაარსი **გვ.**

დასკვნა ფინანსური ანგარიშგების შესახებ 3

აუდიტორული მოსაზრების საფუძვლები 4

ფინანსური აქტივები, მოთხოვნები და ვალდებულებები 4

პირობითი მოსაზრება ფინანსური ანგარიშგების შესახებ 6

კანონმდებლობასთან შესაბამისობა 7

მნიშვნელოვანი შედეგები 8

გამოვლენილი გარემოებები შესაბამისობასთან დაკავშირებით 8

შპს „ხუროსთან“ გაფორმებული ხელშეკრულება 8

შპს „ალიანსთან“ გაფორმებული ხელშეკრულება 10

შპს „მშენ-ელექტრო სერვისთან“ გაფორმებული ხელშეკრულებები 12

შპს „ბილდინგ ჰაუსთან“ გაფორმებული ხელშეკრულება 15

შპს „ტექნო-პროგრეს-სერვისთან“ გაფორმებული ხელშეკრულება 16

საინჟინრო-საპროექტო მომსახურებების შესყიდვა 18

ბიუჯეტის დაგეგმვა და ასიგნებათა გადანაწილება 20

შპს „Engineering Services Company”-სთან გაფორმებული ხელშეკრულება 23

სსიპ ფინანსთა სამინისტროს აკადემიასთან გაფორმებული ხელშეკრულებები 24

არაფინანსური აქტივების მიღება-გასვლა 25

ავტომანქანების ჩანაცვლება 26

შპს „დიანასთან“ გაფორმებული ხელშეკრულებები 29

მივლინებები ქვეყნის გარეთ 30

წარმომადგენლობითი ხარჯები 32

შრომის ანაზღაურება 33

დასკვნა ფინანსური ანგარიშგების შესახებ

სამინისტროს ხელმძღვანელობას

სახელმწიფო აუდიტის სამსახურმა ჩაატარა საქართველოს ფინანსთა სამინისტროს ცენტრალური აპარატის (შემდგომში - სამინისტრო) ფინანსური აუდიტი, რომელმაც მოიცვა ბალანსი 2014 წლის 1 იანვრის მდგომარეობით და მასთან დაკავშირებულ ანგარიშები. აუდიტმა მოიცვა შემდეგი ანგარიშები: ანგარიში ხარჯების ეკონომიკური კლასიფიკაციის მიხედვით, ანგარიში არაფინანსური აქტივებით საკასო ოპერაციების შესახებ, ანგარიში ფინანსური აქტივებით და ვალდებულებებით საკასო ოპერაციების შესახებ, ანგარიში წმინდა ღირებულების შესახებ, ანგარიში არაფინანსური აქტივების მიღება-გასვლის შესახებ და ანგარიში ავტომანქანების ექსპლუატაციაზე გაწეული ხარჯების შესახებ. აუდიტმა ასევე მოიცვა ანგარიში ეკონომიკური ნაკადების შედეგად ფინანსური აქტივებისა და ვალდებულებების ცვლილებების შესახებ. ჩატარდა ასევე შესაბამისობის აუდიტი, რომელმაც მოიცვა 2012 და 2013 წლები.

ხელმძღვანელობის პასუხისმგებლობა ფინანსურ ანგარიშგებასთან დაკავშირებით

ფინანსთა სამინისტროს ხელმძღვანელობა პასუხისმგებელია ფინანსური ანგარიშგების მომზადებასა და მის სამართლიან წარდგენაზე ბუღალტრული აღრიცხვისა და ფინანსური ანგარიშგების აუდიტის შესახებ საქართველოს კანონის, „ბიუჯეტების დაფინანსებაზე მყოფი ორგანიზაციების ბუღალტრული აღრიცხვის შესახებ“ საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2007 წლის 28 დეკემბრის N1321 ბრძანებით დამტკიცებული ინსტრუქციისა და „ბიუჯეტების დაფინანსებაზე მყოფი ორგანიზაციების ბუღალტრული ანგარიშგების ფორმების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2008 წლის 16 აპრილის N364 ბრძანების შესაბამისად.

აღნიშნული პასუხისმგებლობა მოიცავს შიდა კონტროლის სისტემის შემუშავებას, დანერგვასა და შენარჩუნებას, რაც საჭიროა ისეთი ფინანსური ანგარიშგების მომზადებისა და წარდგენისათვის, რომელიც არ შეიცავს შეცდომით ან განზრახ არამართლზომიერი ქმედებით (თაღლითობით) გამოწვეულ არსებით უზუსტობებს.

აუდიტორის პასუხისმგებლობა

სახელმწიფო აუდიტის სამსახური პასუხისმგებელია აუდიტის საფუძველზე გამოთქვას მოსაზრება წარმოდგენილ ფინანსურ ანგარიშგებაზე. აუდიტი წარიმართა უმაღლესი აუდიტორული ორგანოების საერთაშორისო სტანდარტების (ISSAI) შესაბამისად. აღნიშნული სტანდარტებით მოითხოვება აუდიტორების მიერ ეთიკის მოთხოვნების დაცვა, აუდიტის დაგეგმვა და წარმართვა იმგვარად, რომ მიღებულ იქნას გონივრული რწმუნება იმის შესახებ, შეიცავს თუ არა ფინანსური ანგარიშგება არსებით უზუსტობებს.

აუდიტი ითვალისწინებს პროცედურების ჩატარებას აუდიტორული მტკიცებულებების მოსაპოვებლად ფინანსურ ანგარიშგებაში ასახული თანხებისა და განმარტებითი შენიშვნების შესახებ. პროცედურები შეირჩევა აუდიტორის განსჯის საფუძველზე, რაც მოიცავს ფინანსური

ანგარიშგების არსებითი უზუსტობების რისკების შეფასებას, რომლებიც გამოწვეულია თაღლითობით ან შეცდომით. ამ რისკების შეფასების დროს აუდიტორი განსაზღვრავს შესაფერისია თუ არა შიდა კონტროლი სამართლიანი და უტყუარი ფინანსური ანგარიშგების მომზადებისთვის. შიდა კონტროლის შეფასება მიზნად ისახავს მოცემული გარემოებების შესაფერისი აუდიტორული პროცედურების დაგეგმვას და არა შიდა კონტროლის ეფექტიანობაზე მოსაზრების გამოთქმას. აუდიტი აგრეთვე გულისხმობს ხელმძღვანელობის მიერ გამოყენებული საღრიცხვო პოლიტიკისა და მნიშვნელოვანი საღრიცხვო შეფასებების მართებულობის შეფასებას, ასევე მთლიანად ფინანსური ანგარიშგების წარდგენის შეფასებას.

ჩვენს მიერ მოპოვებული აუდიტორული მტკიცებულებები საკმარისი და შესაფერისია აუდიტორული მოსაზრების გამოსათქმელად საჭირო საფუძვლის შესაქმნელად.

აუდიტორული მოსაზრების საფუძვლები ფინანსური ანგარიშგების შესახებ

ფინანსური აქტივები, მოთხოვნები და ვალდებულებები

სამინისტროს ფინანსურ ანგარიშგებაში 2014 წლის 1 იანვრის მდგომარეობით რიცხულმა ფინანსური აქტივების რაოდენობამ შეადგინა 249.2 ათასი ლარი. მათ შორის საბალანსო ანგარიშზე N1260 (დეპოზიტები ხაზინაში ეროვნულ ვალუტაში) ირიცხებოდა 0.9 ათასი ლარი (წლის დასაწყისისთვის ნაშთი შეადგენდა 25.3 ათას ლარს). აღნიშნული ნაშთი წარმოადგენდა ფართის იჯარების და გასულ წლებში სატენდერო მოსაკრებლებიდან შემოსულ თანხებს, რომელიც უნდა მიმართულიყო ბიუჯეტში და გაურკვეველი მიზეზით 2013 წლამდე გადარიცხული არ იყო. ანგარიშზე N1290 (სხვა ანგარიშები ხაზინაში) რიცხულმა ნაშთმა შეადგინა 106.5 ათასი ლარი, რომელიც წარმოადგენდა გასულ წლებში საგრანტო დაფინანსებიდან დარჩენილ ნაშთს. როგორც გაირკვა, სახაზინო ანგარიშზე რეალურად რიცხულმა ნაშთმა შეადგინა 14.7 ათასი ლარი. აქედან გამომდინარე ზემოაღნიშნული საბალანსო ანგარიშის ნაშთი არასწორად იყო წარმოდგენილი 91.8 ათასი ლარით. საბალანსო ანგარიშის კორექტირება და სახაზინო ანგარიშზე რიცხული ნაშთის სახელმწიფო ბიუჯეტში დაბრუნება განხორციელდა 2014 წლის განმავლობაში. ანგარიშზე N1330 (აქციები და სხვა კაპიტალი) რიცხულმა ნაშთმა შეადგინა 141.9 ათასი ლარი, მათ შორის 50.0 ათასი ევროს ექვივალენტი ლარი წარმოადგენს 2006 წელს შავი ზღვის ვაჭრობისა და განვითარების ბანკის (BSTDB) საწესდებო კაპიტალში წილის შენატანს.

მოთხოვნების (დებიტორული დავალიანებების) ჯამურმა ოდენობამ 2014 წლის 1 იანვრისთვის შეადგინა 1,776.5 ათასი ლარი. მათ შორის:

ანგარიშზე N1354 (მოთხოვნები დარიცხული ჯარიმებით, სანქციებით და საკუთრებასთან დაკავშირებული სხვა შემოსავლებით) ნაშთმა შეადგინა 520.2 ათასი ლარი. აღნიშნული დავალიანება წარმოადგენს გასულ წლებში მომწოდებლებზე დარიცხულ პირგასამტეხლოებს. მათ შორის აღსანიშნავია შპს „ინჟმშენი-2005“-ის დავალიანება 271.2 ათასი ლარის ოდენობით. აღნიშნული დავალიანება მოიცავს 2009 წლის 25 მაისის N321 ხელშეკრულების ფარგლებში დარიცხულ პირგასამტეხლოს (234.9 ათასი ლარის ოდენობით) და 2010 წლის 5 აგვისტოს N365 ხელშეკრულების ფარგლებში დარიცხულ პირგასამტეხლოს

(36.3 ათასი ლარის ოდენობით). ორივე ხელშეკრულებასთან დაკავშირებით არსებობს ახალქალაქის რაიონული სასამართლოს გადაწყვეტილებები (2012 წლის 20 იანვრის გადაწყვეტილება საქმეზე N2/191-11 და 2011 წლის 20 ივლისის გადაწყვეტილება საქმეზე N2/85-2011წ.) თანხების დაკისრებასთან დაკავშირებით, მაგრამ გაურკვეველი მიზეზით აუდიტის მიმდინარეობის დროისთვის სსიპ აღსრულების ეროვნულ ბიუროს თანხები ამოღებული არ ჰქონდა. გაურკვეველია ასევე ის გარემოება, თუ რატომ გააფორმა სამინისტრომ მეორე ხელშეკრულება (N365) იმ მომწოდებელთან (შპს „ინჟმშენი-2005“), რომელსაც პირველი ხელშეკრულების (N321) ფარგლებში უკვე ერიცხებოდა გადაუხდელი პირგასამტეხლო და შეგნებულად არ იხდიდა, ან რატომ არ ხდებოდა პირგასამტეხლოს დაქვითვა სახელშეკრულებო ღირებულებიდან და შემდგომ ბიუჯეტში გადარიცხვა. ანალოგიურად, შპს „გონს“ ერიცხება პირგასამტეხლო 129.9 ათასი ლარის ოდენობით, რომელიც მიუხედავად თბილისის საქალაქო სასამართლოს 2010 წლის 28 მაისის გადაწყვეტილებისა (საქმეზე N2/740-10) თანხის დაკისრებასთან დაკავშირებით, თანხა ამოღებული არ არის. ანალოგიური სიტუაციაა სხვა შედარებით მცირე ოდენობის თანხებთან დაკავშირებით, რომლებთან დაკავშირებითაც ნაწილზე შეტანილია სარჩელები სასამართლოში, ხოლო ნაწილი წარმოადგენს მიმდინარე დავალიანებებს.

ანგარიშზე N1440 (მოთხოვნები არაფინანსური აქტივების დანაკლისებით) რიცხულმა ნაშთმა შეადგინა 250.1 ათასი ლარი, რომელთა შორის 177.6 ათასი ლარი წარმოადგენს 2007 წლის 1 აპრილიდან 2012 წლის ჩათვლით წარმოშობილ დანაკლისს, ხოლო 72.5 ათასი ლარი 2007 წლის 1 აპრილამდე წარმოშობილ დანაკლისს. 2007 წლის 1 აპრილამდე წარმოშობილის შესახებ სამინისტროში ინფორმაცია არ მოიპოვება, ვერ იქნა წარმოდგენილი დანაკლისების რეესტრი. შესაბამისად გაურკვეველია ზემოაღნიშნული ციფრის რეალობა და ფინანსური ანგარიშგების ამ მუხლის (ანგარიში N1440 - მოთხოვნები არაფინანსური აქტივების დანაკლისებით) თანხობრივი სისწორე. რაც შეეხება 2007 წლის 1 აპრილის შემდეგ წარმოშობილ დანაკლისებს, რეაგირება მოხდენილია და სამართალდამცავ ორგანოებზე საქმეები გადაცემულია მხოლოდ ხუთ შემთხვევაში (4 ავტომობილი ვაზ-2121 და ერთი ნოუთბუქი) ჯამური თანხით 41.5 ათასი ლარი. დანარჩენი 136.1 ათასი ლარის დანაკლისებზე არ არის მოხდენილი სათანადო რეაგირება.

ანგარიშზე N1431 (მოთხოვნები წინასწარი გადახდებით) რიცხულმა ნაშთმა შეადგინა 223.8 ათასი ლარი, საიდანაც აღსანიშნავია 2005 წელს „ლოუ ოფისისთვის“ (აშშ) გადარიცხული თანხა 146.3 ათასი ლარის ოდენობით, რომლის დავალიანებად წარმოშობის მიზეზი ახსნილი ვერ იქნა (მომსახურება არ იქნა გაწეული, თუ დოკუმენტები არ წარმოდგენილა). არ არის გატარებული ადექვატური ღონისძიებები საკითხის გასარკვევად და თანხის ამოსაღებად.

სამინისტროს ნაერთ ბალანსში ანგარიშზე N1320 (მოკლევადიანი სესხები) ირიცხება დავალიანება 6,262.4 ათასი ლარის ოდენობით. აღნიშნული წარმოადგენს საქართველოს პრეზიდენტის 2006 წლის 2 მაისის N236 განკარგულების შესაბამისად საქართველოს პრეზიდენტის სარეზერვო ფონდიდან გამოყოფილი ასიგნების ხარჯზე შპს „ქართულ პროდუქტზე“ გაცემულ გრძელვადიან სესხს. შესაბამისად დავალიანება უნდა ირიცხებოდეს ანგარიშზე N1510 (გრძელვადიანი სესხები) და არა ზემოაღნიშნულ ანგარიშზე. ზემოაღნიშნული განკარგულების საფუძველზე სამინისტროსა და შპს „ქართულ პროდუქტს“ შორის 2006 წლის 3 მაისს გაფორმდა სასესხო ხელშეკრულება N265, რომლის მიხედვითაც გაიცა 5,500.0 ათასი ევროს ექვივალენტი სესხი ყურძნის კონცენტრატის წარმოების ხელშეწყობის მიზნით. სესხის დაბრუნებასთან დაკავშირებული შემდგომი დავების შემდეგ

თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 2011 წლის 20 ივნისის გადაწყვეტილებით (საქმეზე N3/288-09) შპს „ქართულ პროდუქტს“ სახელმწიფო ბიუჯეტის სასარგებლოდ დაეკისრა 6,262.4 ათასი ლარის გადახდა. ასევე 2011 წლის 16 თებერვლიდან დაეკისრა პირგასამტეხლოს გადახდა დღეში 6954.91 ლარის ოდენობით, რამაც მთელ პერიოდზე (2012 წლის 11 აპრილამდე - სააღსრულებო ფურცლის აღსრულების ეროვნულ ბიუროში მიღების თარიღამდე) გაანგარიშებით შეადგინა 2,948.9 ათასი ლარი. აღნიშნული პირგასამტეხლო სამინისტროს ნაერთ ბალანსში ასახულია საბალანსო ანგარიშზე N1351 (საბიუჯეტო სესხებზე დარიცხული პროცენტები), ნაცვლად ანგარიშისა N1354 (მოთხოვნები დარიცხული ჯარიმებით, სანქციებით და საკუთრებასთან დაკავშირებული სხვა შემოსავლებით). აღნიშნულ სესხთან დაკავშირებით თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის მიერ 2010 წლის 10 დეკემბრის გადაწყვეტილებით (საქმეზე N2/9747-10) გამოტანილია ასევე გადაწყვეტილება, რომლის მიხედვითაც შპს „ქართული პროდუქტის“ დამფუძნებლებს გოჩა ძასოხოვს და ანატოლი ილჩენკოს დანაშაულით მიყენებული ზიანის ასანაზღაურებლად სახელმწიფო ბიუჯეტის სასარგებლოდ დაეკისრათ სოლიდარულად 9,897.5 ათასი ლარის გადახდა. აღნიშნული მოთხოვნა ასახული არ არის სამინისტროს ნაერთ ბალანსში.

დანარჩენი მოთხოვნები წარმოადგენს სხვადასხვა საგადასახადო აქტივებს, მოთხოვნებს მომუშავეების მიმართ და მიმდინარე დებიტორულ დავალიანებებს.

ვალდებულებების ჯამმა 2014 წლის 1 იანვრისთვის შეადგინა 308.8 ათასი ლარი. მათ შორის აღსანიშნავია ანგარიშზე N3251 (შტატით მომუშავეებზე დარიცხული ხელფასები) რიცხული დავალიანება 266.7 ათასი ლარის ოდენობით, რომელიც პასუხისმგებელი პირების განმარტებით წარმოშობილია 2004 წლამდე და ზემოაღნიშნული ნაშთი შეესაბამება იმ პერიოდისთვის არსებულ დავალიანებას. ნაშთი აუდიტის პერიოდის დასაწყისისთვისაც (2012 წლის 1 იანვარი) შეადგენდა 266.7 ათას ლარს. ზემოაღნიშნული დავალიანების შესახებ დეტალური ინფორმაცია სამინისტროში არ მოიპოვება. კერძოდ, ვერ იქნა წარმოდგენილი მოსამსახურეთა სია დავალიანებასთან დაკავშირებით 2014 წლის 1 იანვრის მდგომარეობით. წლების განმავლობაში (მათ შორის 2012-2013 წლებში) აღნიშნული დავალიანების თანხობრივი კორექტირება არ მომხდარა, მიუხედავად იმისა, რომ ადგილი ჰქონდა სასამართლო გადაწყვეტილებების საფუძველზე „სასამართლო გადაწყვეტილებების აღსრულების“ ფონდიდან სახელფასო დავალიანებების გაცემას. შესაბამისად გაურკვეველია აღნიშნული დავალიანების რეალობა და ფინანსური ანგარიშგების ამ მუხლის თანხობრივი სისწორე.

მიზანშეწონილი იქნება სამინისტრომ გაატაროს ქმედითი ღონისძიებები დებიტორულ დავალიანებათა ამოსაღებად. სათანადო ზომები იქნას მიღებული ბალანსზე რიცხული დანაკლისების რეალობის დადგენის და შემდგომი რეაგირების მიზნით. სამინისტროს ნაერთ ბალანსში ასახული იქნას სასამართლოს მიერ კერძო პირებზე ბიუჯეტის სასარგებლოდ დაკისრებული 9,897.5 ათასი ლარი და მიღებული იქნას შესაბამისი ზომები თანხის ამოსაღებად. განხორციელდეს სახელფასო დავალიანებათა ინვენტარიზაცია და „სასამართლო გადაწყვეტილებების აღსრულების“ ფონდიდან თანხების გაცემის შემთხვევებში განხორციელდეს დავალიანების კორექტირება.

პირობითი მოსაზრება ფინანსური ანგარიშგების შესახებ

ჩვენი აზრით აუდიტორული მოსაზრების საფუძვლებში დაფიქსირებული უზუსტობების გაუთვალისწინებლად წარმოდგენილი ფინანსური ანგარიშგება სამართლიანად ასახავს ფინანსთა სამინისტროს ფინანსურ მდგომარეობას 2014 წლის 1 იანვრის მდგომარეობით.

კანონმდებლობასთან შესაბამისობა

ხელმძღვანელობის პასუხისმგებლობა

ფინანსური ანგარიშგების მომზადებისა და მის სამართლიან წარდგენაზე პასუხისმგებლობის გარდა, რომელიც აღწერილია ზემოთ, სამინისტროს ხელმძღვანელობა ასევე პასუხისმგებელია რომ უზრუნველყოს ორგანიზაციის საქმიანობის და ფინანსური ოპერაციების კანონმდებლობასთან შესაბამისობა.

აუდიტორის პასუხისმგებლობა

გარდა ფინანსურ ანგარიშგებაზე მოსაზრების გამოთქმის პასუხისმგებლობისა, რომელიც აღწერილია ზემოთ სახელმწიფო აუდიტის სამსახურის პასუხისმგებლობაა აუდიტის საფუძველზე გამოთქვას მოსაზრება სამინისტროს მიერ განხორციელებული ფინანსური ოპერაციების კანონმდებლობასთან შესაბამისობის შესახებ. შესაბამისობის აუდიტი წარიმართა უმაღლესი აუდიტორული ორგანოების საერთაშორისო სტანდარტების (ISSAI) შესაბამისად. აღნიშნული სტანდარტებით მოითხოვება აუდიტორების მიერ ეთიკის მოთხოვნების დაცვა, აუდიტის დაგეგმვა და წარმართვა იმგვარად, რომ მიღებულ იქნას გონივრული რწმუნება იმის შესახებ შეესაბამება თუ არა განხორციელებული ფინანსური ოპერაციები მოქმედი კანონმდებლობის მოთხოვნებს ყველა არსებითი ასპექტის გათვალისწინებით.

ჩვენს მიერ მოპოვებული აუდიტორული მტკიცებულებები საკმარისი და შესაფერისია აუდიტორული მოსაზრების გამოსათქმელად საჭირო საფუძვლის შესაქმნელად.

აუდიტის მასშტაბი

რისკების შეფასების საფუძველზე აუდიტის მასშტაბად განისაზღვრა: სახელმწიფო შესყიდვების მოქმედ კანონმდებლობასთან შესაბამისობა, ბიუჯეტის დაგეგმვა და ასიგნებათა გადანაწილება, შრომის ანაზღაურება, წარმომადგენლობითი ხარჯები, მივლინებები ქვეყნის გარეთ, არაფინანსური აქტივების მოძრაობა.

შესაბამისობის აუდიტის ანგარიშის ფორმა

შესაბამისობის აუდიტის ანგარიში შედგენილია უმაღლესი აუდიტორული ორგანოების საერთაშორისო სტანდარტის (ISSAI 4100) მოთხოვნების მიხედვით - „ანგარიში ვრცელი ფორმით“. „ანგარიში ვრცელი ფორმით“ გულისხმობს აუდიტის შედეგებისა და გამოვლენილი გარემოებების უფრო დეტალურ განხილვას, რაც ეხმარება აუდიტის ანგარიშის მომხმარებლებს საკითხების ყოველმხრივ გაგებასა და მასზე დაყრდნობით ინფორმირებული გადაწყვეტილებების მიღებაში.

მნიშვნელოვანი შედეგები

1. სამშენებლო სამუშაოების შესყიდვაზე შპს „ხუროსთან“ გაფორმებული ხელშეკრულების შესრულების ფარგლებში სახელმწიფო ბიუჯეტიდან ზედმეტად გადახდილია მინიმუმ 151.8 ათასი ლარი. აღნიშნული თანხა შემდგომი შესწავლის შედეგად შესაძლოა გაიზარდოს.

2. სამშენებლო სამუშაოების შესყიდვაზე შპს „ალიანსთან“ გაფორმებული ხელშეკრულების შესრულების ფარგლებში სახელმწიფო ბიუჯეტიდან ზედმეტად გადახდილია 139.9 ათასი ლარი, აღნიშნული გამოვლინდა მხოლოდ იმ დოკუმენტების მიხედვით, რომელიც არასრულყოფილად წარმოადგინა შპს „ალიანსმა“.

3. ელექტრონული ტენდერით (SPA120000107) სახელმწიფო შესყიდვის განხორციელების პროცესში სამინისტროს მიერ არ არის უზრუნველყოფილი საბიუჯეტო სახსრების რაციონალური ხარჯვა, რის შედეგადაც არაეკონომიურად გაიხარჯა 93.6 ათასი ლარი.

4. სამინისტროს მიერ არ აშენებულ ობიექტებთან დაკავშირებული საპროექტო მომსახურებების არასაჭირო შესყიდვების გამო უყაირათოდ გახარჯულია 346.0 ათასი ლარი.

5. სამინიტროს მიერ მორალურად მოძველებული სალარო-აპარატების („მერკური 130“) შეძენის გამო (რომლებიც გამოყენებული ვერ იქნა) არაეფექტიანად გაიხარჯა 875.0 ათასი ლარი.

6. რიგ შემთხვევებში სამინისტროს მიერ განხორციელებულია ავტომანქანების მიზანშეუწონელი ჩანაცვლებები. კერძოდ: ზოგიერთ შემთხვევებში ჩანაცვლებულია პრაქტიკულად სრულიად ახალი ავტომანქანები, სხვა შემთხვევებში ეფექტიანობის თვალსაზრისით მიზანშეწონილი იქნებოდა ტენდერებით შესყიდვა. შედეგად არაეკონომიურად გახარჯულია საბიუჯეტო სახსრები.

გამოვლენილი გარემოებები შესაბამისობასთან დაკავშირებით

შპს „ხუროსთან“ გაფორმებული ხელშეკრულება

ელექტრონულ ტენდერში (SPA120007868) გამარჯვების საფუძველზე ფინანსთა სამინისტროსა და შპს „ხუროს“ შორის 2012 წლის 10 აპრილს გაფორმდა ხელშეკრულება N145

სახელმწიფო შესყიდვაზე. შესყიდვის საგანს წარმოადგენდა საქართველოს ფინანსთა სამინისტროს ადმინისტრაციული შენობის (ქ. თბილისი, გორგასლის ქ. N16) საშვთა ბიუროს, ჰოლისა და სახაზინო სამსახურისთვის განკუთვნილი ფართის სამშენებლო სამუშაოების შესყიდვა. სახელშეკრულებო ღირებულება განისაზღვრა 877.8 ათასი ლარით. 2012 წლის 14 ნოემბრის N145/1 შეთანხმებით სახელშეკრულებო ღირებულება შემცირდა და განისაზღვრა 874.6 ათასი ლარით. წარმოდგენილი ანგარიშ-ფაქტურებისა და მიღება-ჩაბარების აქტების (ფორმა N2) შესაბამისად სამინისტროს მიერ ზემოაღნიშნული თანხა ეტაპობრივად გადახდილი იქნა.

მიღება-ჩაბარების აქტებში (ფორმა N2) დაფიქსირებული პოზიციების შემოწმების შედეგად (შპს „ხუროს“ მიერ წარმოდგენილი დოკუმენტების საფუძველზე) გამოვლინდა, რომ სამუშაოების მნიშვნელოვანი ნაწილი შესრულებული აქვს სუბკონტრაქტორ შპს „ინტერიერს“. კერძოდ, მის მიერ შესრულებულია მინის დერეფნის კონსტრუქციის მონტაჟი, ალუმინის კარების, ფანჯრების, მოაჯირის და ვიტრაჟის მონტაჟი, აგრეთვე საყვავილის და მინის მოაჯირის მონტაჟი. შპს „ინტერიერის“ მიერ შპს „ხუროსთვის“ წარდგენილი ანგარიშ-ფაქტურის (ეა-05 N8006037) და თანდართული ხარჯთაღრიცხვის მიხედვით ზემოაღნიშნული სამუშაოების ჯამურმა ღირებულებამ შეადგინა 122.0 ათასი ლარი ყველა დანარიცხის და დღგ-ს ჩათვლით. მათ შორის: მინის დერეფანი - 73.1 ათასი ლარი (1მ^2-594 ლარი), ალუმინის ვიტრაჟი - 16.5 ათასი ლარი (1მ^2-264 ლარი), ალუმინის კარები (ერთი ერთეული) - 4.9 ათასი ლარი, ალუმინის ფანჯრები - 6.1 ათასი ლარი (1მ^2-165 ლარი). საყვავილე - 11.5 ათასი ლარი (1მ^2-346.5 ლარი), მინის მოაჯირი - 4.5 ათასი ლარი (1 გრძ.მ-280.5 ლარი), ალუმინის მოაჯირი - 5.4 ათასი ლარი (1 გრძ.მ-150 ლარი).

პირდაპირი ხარჯები თვითღირებულების შემადგენელი ნაწილია და შესაბამისად ფორმა N2-ებში ჩადებული უნდა იყოს თვითღირებულებით[1]. მიუხედავად ამისა ზემოაღნიშნული სამუშაოები შპს „ხუროს“ სამინისტროსადმი წარდგენილ ფორმა N2-ებში ჩადებული აქვს გაზრდილი ოდენობებით. კერძოდ: მინის დერეფანი - 131.9 ათასი ლარი, ალუმინის ვიტრაჟი - 31.0 ათასი ლარი, ალუმინის კარები - 5.5 ათასი ლარი, ალუმინის ფანჯრები - 5.9 ათასი ლარი. საყვავილე - 15.1 ათასი ლარი, ალუმინის მოაჯირი - 8.9 ათასი ლარი, ხოლო მინის მოაჯირი ცალკე პოზიციად არ არის გამოყოფილი. სულ აღნიშნული სამუშაოების ღირებულება ნაჩვენებია 198.3 ათასი ლარის ოდენობით დანარიცხების გარეშე. დანარიცხების გათვალისწინებით (სატრანსპორტო ხარჯები მასალებზე - 2%, ზედნადები ხარჯები - 6%, გეგმური დაგროვება - 4% და დღგ -18%) ზემოაღნიშნული სამუშაოების ღირებულებამ შეადგინა 262.7 ათასი ლარი. სხვაობა შეადგენს 140.7 ათას ლარს[2] (262.7-122.0).

აღსანიშნავია, რომ ზემოაღნიშნული ობიექტის საპროექტო ხარჯთაღრიცხვის მიხედვით (რომელიც შედგენილია შპს „მეგავატ.ჯის“ მიერ) მინის დერეფნის კონსტრუქციის 1მ^2 ღირებულებამ ყველა ხარჯების და დანარიცხების ჩათვლით შეადგინა 1199 ლარი[3]. სამინისტროს მიერ 1მ^2-ში ფაქტობრივად გადახდილია 1468 ლარი[4]. ინტერნეტ-საიტების მონაცემებით და სხვადასხვა მომწოდებლების გამოკითხვით კი გაირკვა, რომ ანალოგიური სახის მინის (10მმ სისქის) დერეფნის 1მ^2 კონსტრუქციის დამზადების ღირებულება მერყეობს

[1] СНиП IV-8-84, 1-ლი თავის 1.1 და 1.2 პუნქტების მიხედვით.
[2] დეტალური გაანგარიშება მოცემულია დანართში ელექტრონული სახით.
[3] [(99057+2722ტრანსპორტირება)*1.1*1.08*1.18]/118.95
[4] [(131881+2379ტრანსპორტირება)*1.06*1.04*1.18]/118.95

170 ლარიდან 230 ლარამდე (ყველა ხარჯების და გადასახადების ჩათვლით). შესაბამისად არარეალურად გაზრდილია ასევე საპროექტო ხარჯთაღრიცხვაც.

გარდა ამისა, შპს „ხუროს“ მიერ სამინისტროსადმი წარდგენილი 2012 წლის 4 ივნისის N4790071 ანგარიშ-ფაქტურაზე და მიღება-ჩაბარების აქტზე (N442, 04.06.2012წ.) თანდართული ლოკალურ-რესურსული ხარჯთაღრიცხვის (N1-2) მიხედვით პოზიციაში „გრუნტის დამუშავება ექსკავატორით“ შრომის დანახარჯი 780 მ³ გრუნტზე დაფიქსირებულია 780 კაც/საათის ოდენობით, ხოლო კაც/საათის ღირებულება 3 ლარის ოდენობით. მანქანა-მექანიზმის (ექსკავატორის) დანახარჯი დაფიქსირებულია 780 მანქანა/საათის ოდენობით, ხოლო 1 მანქანა/საათის ღირებულებად დაფიქსირებულია 10 ლარი. აღნიშნული ფასების გამოყენებით ორივე პოზიციის მიხედვით დანარიცხების გარეშე ჯამური ღირებულება დაფიქსირებულია 10.1 ათასი ლარის ოდენობით. საქართველოში მოქმედი კანონმდებლობის მიხედვით (СНиП IV-2-82, კრებული N1, პარაგრაფი 1, ცხრილი 1-11, გრაფა VI)[5] ექსკავატორით გრუნტის დამუშავებისას შრომის დანახარჯის მაქსიმალური ოდენობა შეადგენს 16 კაც/საათს 1000მ³ გრუნტზე (შესაბამისად 780 მ³-ზე იქნება 12.48 კაც/საათი), ხოლო მანქანა-მექანიზმების მაქსიმალური დანახარჯი შეადგენს 35.9 მანქანა/საათს 1000მ³ გრუნტზე (შესაბამისად 780 მ³-ზე იქნება 28.0 მანქანა/საათი). მშენებლობის შემფასებელთა კავშირის მონაცემებით 1კაც/საათის საშუალო საბაზრო ღირებულება შეადგენს 4.6 ლარს. ხოლო კაც/საათისა და მანქანა-საათის მაქსიმალური საბაზრო ფასების გამოყენებით (შესაბამისად 7.81 ლარი/კაც-საათი და 54.5 ლარი/მანქანა-საათი) აღნიშნული სამუშაოების მაქსიმალური საბაზრო ღირებულება შეადგენს 1.6 ათას ლარს (12.48*7.81+28.0*54.5). სხვაობა დანარიცხების გარეშე შეადგენს 8.5 ათას ლარს (10.1-1.6). დანარიცხების გათვალისწინებით სხვაობა შეადგენს 11.1 ათას ლარს.

შედეგად აღნიშნული ხელშეკრულების (N145) ფარგლებში გამოვლინდა შპს „ხუროს“ მიერ ფორმა N2-ებში სამუშაოთა ღირებულებების გაზრდილი ოდენობებით წარმოდგენა, რის შედეგადაც სახელმწიფო ბიუჯეტიდან ზედმეტად გადახდილია მინიმუმ 151.8 ათასი ლარი (140.7+11.1).

იმის გამო, რომ შსს ანტიკორუფციული სააგენტოსა და საგადასახადო ორგანოების მიერ პირველადი საბუღალტრო და სხვა საბუთების ამოღების მიზეზით (წერილი N715, 06.10.2014წ.) შპს „ხუროს“ მიერ დოკუმენტები სრულყოფილად არ იქნა წარმოდგენილი, არსებობს რისკი იმისა, რომ ზემოაღნიშნულის მსგავსი სხვაობები გამოვლინდეს ასევე ფორმა N2-ების სხვა პოზიციებშიც, რაც შემდგომი შესწავლის საგანს წარმოადგენს. შემდგომი შესწავლის საგანს წარმოადგენს აგრეთვე სუბკონტრაქტორ შპს „ინტერიერის“ მიერ დაფიქსირებული საეჭვო ფასების რეალობასთან შესაბამისობა (მაგალითად, მინის დერეფნის კონსტრუქცია 1მ² - 594 ლარი და ა.შ.), რის შედეგადაც ზედმეტად გადახდილი ზემოაღნიშნული თანხა შესაძლოა გაიზარდოს.

[5] საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების მინისტრის 2010 წლის 18 თებერვლის N251 ბრძანების „საქართველოს ტერიტორიაზე ტექნიკური ზედამხედველობისა და სამშენებლო სფეროში 1992 წლამდე მოქმედი ნორმების, წესების და ტექნიკური რეგულირების სხვა დოკუმენტების გამოყენების შესახებ“ დანართის 93-ე პოზიცია.

შპს „ალიანსთან“ გაფორმებული ხელშეკრულება

ელექტრონულ ტენდერში (SPA110020404) გამარჯვების საფუძველზე საქართველოს ფინანსთა სამინისტროსა და შპს „ალიანსს“ შორის 2011 წლის 29 აგვისტოს გაფორმდა ხელშეკრულება N348 სახელმწიფო შესყიდვაზე. შესყიდვის საგანს წარმოადგენდა საქართველოს ფინანსთა სამინისტროს საგამოძიებო სამსახურისთვის განკუთვნილი შენობის (ქ. თბილისი, უნივერსიტეტის ქუჩა N2) სამშენებლო სამუშაოები. სახელშეკრულებო ღირებულება განისაზღვრა 8,970.0 ათასი ლარით. სამუშაოების შესრულების ვადად განისაზღვრა ხელშეკრულების გაფორმებიდან 9 თვე. წარმოდგენილი ანგარიშ-ფაქტურების და მიღება-ჩაბარების აქტების (ფორმა N2) შესაბამისად ზემოაღნიშნული თანხა 2011 და 2012 წლების განმავლობაში ეტაპობრივად გადახდილი იქნა.

როგორც მიღება-ჩაბარების აქტების (ფორმა N2) და წარმოდგენილი შესყიდვის დამადასტურებელი დოკუმენტების შემოწმებით გაირკვა, რიგი სამუშაოებისა შესრულებულია სუბკონტრაქტორების საშუალებით. კერძოდ, სუსტი დენების სამუშაოები (სატელეფონო, კომპიუტერული ქსელი, ვიდეოსამეთვალყურეო სისტემა) შესრულებული აქვს შპს „სერვის 1“-ს, რისთვისაც შპს „ალიანსს“ მისთვის გადახდილი აქვს 215.0 ათასი ლარი. ხოლო ასფალტობეტონის სამუშაოები შესრულებული აქვს შპს „სატრანსპორტო სამშენებლო კომპანიას“, რისთვისაც გადახდილია 320.0 ათასი ლარი. ზემოაღნიშნული თანხები მოცემულია ყველა დანარიცხის გათვალისწინებით (ზედნადები ხარჯები, გეგმური დაგროვება, დღგ). სულ აღნიშნული ორი სუბკონტრაქტორისთვის გადახდილია 535.0 ათასი ლარი.

სამინისტროსადმი წარდგენილ მიღება-ჩაბარების აქტებში სუბკონტრაქტორების მიერ შესრულებული სამუშაოების ღირებულება შპს „ალიანსს“ ჩადებული აქვს გაზრდილი ოდენობებით. კერძოდ: სუსტი დენების სამუშაოები (სატელეფონო, კომპიუტერული ქსელი, ვიდეოსამეთვალყურეო სისტემა) – 249.0 ათასი ლარი, ხოლო ასფალტობეტონის სამუშაოები - 375.2 ათასი ლარი (მოცემულია ასევე ყველა დანარიცხის გათვალისწინებით). აღნიშნული ორი სახის სამუშაოების ჯამური ღირებულება ჩადებულია 624.2 ათასი ლარის ოდენობით. სხვაობა ფაქტობრივ ღირებულებასთან შეადგენს 89.2 ათას ლარს.

გარდა ამისა შპს „ალიანსის“ მიერ სამინისტროსადმი წარდგენილ მიღება-ჩაბარების აქტებში (ფორმა N2) პირდაპირი ხარჯების ნაწილში სხვადასხვა სისქის ერთი ტონა არმატურის ღირებულებები ჩადებულია 1282-1465 ლარის ოდენობით (ტრანსპორტირების ჩათვლით) დანარიცხების გარეშე. სულ გამოყენებული 197.8 ტონა არმატურის ღირებულება ნაჩვენებია 257.6 ათასი ლარის ოდენობით დანარიცხების გარეშე. წარმოდგენილი შესყიდვის დამადასტურებელი ანგარიშ-ფაქტურების მიხედვით კი არმატურები შესყიდულია ერთი ტონა 1184 ლარად (ტრანსპორტირების ჩათვლით) დღგ-ს გარეშე. შესაბამისად სულ გადახდილია 234.2 ათასი ლარი დღგ-ს გარეშე. სხვაობა შეადგენს 23.4 ათას ლარს დანარიცხების გარეშე. ზედნადები ხარჯების (5%), გეგმური დაგროვების (3%) და დღგ-ს (18%) გათვალისწინებით სხვაობა შეადგენს 29.8 ათას ლარს.

ასევე შპს „ალიანსის“ მიერ სამინისტროში წარდგენილ 2012 წლის 9 მარტის N3327594 ანგარიშ-ფაქტურაზე თანდართულ ლოკალურ ხარჯთაღრიცხვაში (N4-1) ჩადებულია 400 კილოვატიანი დიზელ-გენერატორის ღირებულება 91.2 ათასი ლარის ოდენობით დღგ-ს გარეშე. წარმოდგენილი შესყიდვის დამადასტურებელი დოკუმენტით (სასაქონლო ზედნადები Nელ-0001915611) გაირკვა, რომ აღნიშნული საქონელი შპს „ალიანსს“ შეძენილი აქვს შპს „კოპა საფლაისგან“ 74.8 ათას ლარად დღგ-ს გარეშე. სხვაობა შეადგენს 16.4 ათას

ლარს დანარიცხების გარეშე. გარეშე. ზედნადები ხარჯების (5%), გეგმური დაგროვების (3%) და დღგ-ს (18%) გათვალისწინებით სხვაობა შეადგენს 20.9 ათას ლარს.

სულ აღნიშნული ხელშეკრულების (N348) ფარგლებში შპს „ალიანსის“ მიერ სამინისტროსადმი წარდგენილ მიღება-ჩაბარების აქტებში (ფორმა N2) გამოვლინდა სამუშაოთა ღირებულებების გაზრდის შემთხვევები 139.9 ათასი ლარის ოდენობით[6]. აღნიშნული გამოვლინდა მხოლოდ იმ დოკუმენტების მიხედვით, რომელიც არასრულყოფილად წარმოადგინა შპს „ალიანსმა“.

მიზანშეწონილი იქნება ფინანსთა სამინისტრომ: სამშენებლო სამუშაოების შესყიდვასთან დაკავშირებული ტენდერების გამოცხადების დროს სამუშაოთა ერთეულების (შრომის ანაზღაურების, მასალების და მანქანა-მექანიზმების) საბაზრო ღირებულებების დადგენასთან დაკავშირებით განახორციელოს უფრო დეტალური ბაზრის კვლევა, რის საფუძველზეც გააკონტროლოს საპროექტო ხარჯთაღრიცხვების სამუშაოთა ერთეულების ღირებულებების რეალობა, რაც საშუალებას მისცემს სწორად განსაზღვროს სამშენებლო ობიექტების შესყიდვის სავარაუდო ღირებულებები; სამშენებლო სამუშაოების შესრულებაზე მიღება-ჩაბარების აქტების გაფორმებამდე ფორმა N2-ებში დაფიქსირებულ საეჭვო პოზიციებთან დაკავშირებით „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ საქართველოს კანონის 22[1]-ე მუხლის საფუძველზე მომწოდებლებისგან გამოითხოვოს მასალების შეძენის და ქვეკონტრაქტორების მიერ შესრულებულ სამუშაოებთან დაკავშირებული დოკუმენტები, რითაც კონტროლი გაუწიოს ფორმა N2-ებში ჩადებული პირდაპირი ხარჯების რეალობას; დაყენებული იქნას საკითხი ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიუროს წინაშე, რათა ბიურომ ფორმა N2-ების ექსპერტიზა ჩაატაროს არა მხოლოდ სამუშაოთა მოცულობების რეალობის დადგენის, არამედ სამუშაოთა ერთეულების ღირებულებების რეალობის დადგენის მიზნითაც (როგორც გამარტივებული შესყიდვის საშუალებით, ასევე ტენდერებით განხორციელებული შესყიდვების შემთხვევაში).

შპს „მშენ-ელექტრო სერვისთან“ გაფორმებული ხელშეკრულებები

საქართველოს ფინანსთა სამინისტრომ 2012 წლის 4 იანვარს გამოაცხადა ელექტრონული ტენდერი (SPA120000247) საგამოძიებო სამსახურის და სსიპ შემოსავლების სამსახურის ბალანსებზე მყოფი შენობის (ქ. ბათუმი, ფიროსმანის ქ. N5ა) ფასადის სარემონტო სამუშაოების შესყიდვის მიზნით. შესყიდვის სავარაუდო ღირებულება განისაზღვრა 488.6 ათასი ლარით. მინისტრის 2012 წლის 3 იანვრის N2 ბრძანებით შესყიდვის სავარაუდო ღირებულებიდან ნაწილის - 264.9 ათასი ლარის გადახდა დაევალა სამინისტროს, ხოლო დანარჩენი (223.7 ათასი ლარი) უნდა გადაეხადა სსიპ შემოსავლების სამსახურს. ტენდერში მონაწილეობა მიიღო ერთმა პრეტენდენტმა შპს „მშენ-ელექტრო სერვისმა“ და გაიმარჯვა სატენდერო წინადადებით 391.0 ათასი ლარი. 2012 წლის 8 თებერვალს სამინისტროსა და ტენდერში გამარჯვებულ შპს „მშენ-ელექტრო სერვისს“ შორის ზემოაღნიშნული სამუშაოების შესყიდვის მიზნით გაფორმდა ხელშეკრულება N76 ღირებულებით 209.0 ათასი ლარი. მიღება-ჩაბარების აქტები წარმოდგენილია და ეტაპობრივად გადახდილია 209.0 ათასი ლარი.

[6] დეტალური გაანგარიშებები მოცემულია დანართში ელექტრონული სახით.

იმავე დღეს, 2012 წლის 4 იანვარს, იმავე ობიექტის (ქ. ბათუმი, ფიროსმანის ქ. N5ა) სარემონტო სამუშაოების შესყიდვის მიზნით სამინისტრომ გამოაცხადა ელექტრონული ტენდერი (SPA120000107) შესყიდვის სავარაუდო ღირებულებით 1,592.5 ათასი ლარი. ტენდერში მონაწილეობა მიიღო სამმა პრეტენდენტმა, რომლებმაც დააფიქსირეს შემდეგი საბოლოო სატენდერო წინადადების ფასები: შპს „ხურო“ – 1,247.8 ათასი ლარი, შპს „ნიუ კონსტრაქშენ“ – 1,252.2 ათასი ლარი და შპს „მშენ-ელექტრო სერვისი“ – 1,342.5 ათასი ლარი. სატენდერო კომისიის 2012 წლის 1 თებერვლის N3 და 6 თებერვლის N4 სხდომის ოქმების მიხედვით განხორციელდა ორი ყველაზე დაბალი სატენდერო წინადადების მქონე პრეტენდენტების (შპს ,,ხუროს“ და შპს ,,ნიუ კონსტრაქშენის'') დისკვალიფიკაცია იმ მოტივით, რომ მათ ვერ წარმოადგინეს სატენდერო დოკუმენტაცით გათვალისწინებული ინფორმაცია ბოლო სამი წლის განმავლობაში 10,000.0 ათასი ლარის ღირებულების სამუშაოების შესრულების შესახებ. კერძოდ, შპს „ხუროს'' წარმოდგენილი ჰქონდა ინფორმაცია მხოლოდ 6,000.0 ათასი ლარის ღირებულების სამუშაოების შესრულებასთან დაკავშირებით და 2,777.8 ათასი ლარისა და 970.0 ათასი ლარის ხელშეკრულებები შესრულების გარეშე, ხოლო შპს ,,ნიუ კონსტრაქშენს'' ერთიან ელექტრონულ სისტემაში ატვირთული ჰქონდა 2011 წლის 26 აგვისტყოს N138 ხელშეკრულება 167.0 ათას ლარზე და არ ჰქონდა წარმოდგენილი შესაბამისი სამუშაოების შესრულების დამადასტურებელი დოკუმენტები. შედეგად სამინისტრომ 2012 წლის 9 თებერვალს გააფორმა ხელშეკრულება N77 ყველაზე მაღალი სატენდერო წინადადების ფასის მქონე შპს „მშენ-ელექტრო სერვისთან“ ღირებულებით - 1,342.5 ათასი ლარი. მიღება-ჩაბარების აქტები წარმოდგენილია და შესაბამისი ოდენობით ეტაპობრივად გადახდილია 1,341.4 ათასი ლარი.

ზემოაღნიშნული შესყიდვის (SPA120000107) განხორციელების პროცესში სამინისტროს მიერ არ არის უზრუნველყოფილი საბიუჯეტო სახსრების რაციონალური ხარჯვა[7] შემდეგი გარემოებების გამო:

-გაურკვეველია, თუ რა კრიტერიუმით დადგინდა სატენდერო დოკუმენტაციით 10,000.0 ათასი ლარის სამუშაოების შესრულების (ისიც აუცილებლად ბოლო სამი წლის მიხედვით) დამადასტურებელი დოკუმენტების წარმოდგენის ვალდებულება, რომლის საჭიროება არავითარ აუცილებლობას არ წარმოადგენდა და სავარაუდოდ მორგებული იყო კონკრეტული პრეტენდენტის ინტერესზე. რატომ არ ჩაითვალა 5,000.0 ათასი ლარის სამუშაოების შესრულება საკმარისად ისევე, როგორც სხვა ტენდერების შემთხვევაში. მაგალითად, სამინისტროს ადმინისტრაციული შენობის საშვთა ბიუროს, ჰოლის და სახაზინო სამსახურის სამშენებლო სამუშაოების შესყიდვისთვის გამოცხადებული ელექტრონული ტენდერის (SPA120007868) სატენდერო დოკუმენტაციით განსაზღვრული იყო პრეტენდენტების მიერ 5,000.0 ათასი ლარის სამუშაოების შესრულების დამადასტურებელი დოკუმენტების წარდგენა. შედეგად ტენდერში გაიმარჯვა იგივე შპს „ხურომ“, რომელმაც წარადგინა სამუშაოების შესრულების დამადასტურებელი ის დოკუმენტები, რომლის გამოც ერთხელ უკვე დისკვალიფიცირებული იქნა. ხოლო სამინისტროს ადმინისტრაციული შენობის სამშენებლო სამუშაოების შესყიდვაზე გამოცხადებულ ელექტრონულ ტენდერში (SPA120014421) სატენდერო დოკუმენტაციით განსაზღვრული იყო პრეტენდენტების მიერ 500.0 ათასი ლარის სამუშაოების შესრულების დამადასტურებელი დოკუმენტების წარდგენა. სხვადასხვა ტენდერებში სატენდერო დოკუმენტაციებით პრეტენდენტებისთვის ზემოაღნიშნული სახის ურთიერთგამომრიცხავი

[7] „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-2 მუხლის „ა“ პუნქტით განსაზღვრული მიზანი.

მოთხოვნების წაყენება, პრეტენდენტებისთვის ხელოვნურად შემზღუდავ ბარიერს წარმოადგენს და ხელს უშლის ჯანსაღი კონკურენციისა და საბიუჯეტო სახსრების რაციონალური ხარჯვის უზრუნველყოფას. რის შედეგადაც სამინისტროს მიერ არაეკონომიურად გაიხარჯა 93.6 ათასი ლარი (1,341.4-1,247.8).

-გარდა ამისა შემსყიდველი ორგანიზაცია ვალდებულია რაციონალურად და საქართველოს სახელმწიფო ინტერესების გათვალისწინებით განახორციელოს შესყიდვები მისთვის გამოყოფილ ასიგნებათა ფარგლებში. ასევე უფლებამოსილია გამარტივებული შესყიდვის, გამარტივებული ელექტრონული ტენდერისა და ელექტრონული ტენდერის შემთხვევებში ხელშეკრულების ძალაში შესვლამდე ნებისმიერ დროს შეწყვიტოს შესყიდვის პროცედურა, თუ ეს აუცილებელი გახდება მისგან დამოუკიდებელი და წინასწარ გაუთვალისწინებელი ობიექტური მიზეზებით, აგრეთვე საქართველოს სახელმწიფო ან/და საზოგადოებრივი ინტერესებიდან გამომდინარე[8].

-კანონმდებლობით[9] გათვალისწინებულია აგრეთვე, რომ თუ მომდევნო ყველაზე დაბალი ფასის წინადადების მქონე პრეტენდენტის წინადადების ფასი ბაზარზე შეცვლილი გარემოებების შედეგად მნიშვნელოვნად აღემატება ამ შესყიდვის ობიექტის საბაზრო ღირებულებას, სატენდერო კომისიას უფლება აქვს შეწყვიტოს ტენდერი. ამ ტენდერის შემთხვევაში ზემოაღნიშნული გარემოების არსებობის ვარაუდის საფუძველს იძლევა ის ფაქტი, რომ ტენდერში ორმა პრეტენდენტმა (შპს ,,ხურომ“ და შპს ,,ნიუ კონსტრაქშენმა'') დააფიქსირა დაახლოებით ერთნაირი სატენდერო წინადადების ფასები, რომლებიც მნიშვნელოვანი ოდენობით (94.7 ათასი ლარით და 90.3 ათასი ლარით) ნაკლები იყო გამარჯვებული შპს „მშენ-ელექტრო სერვისის“ სატენდერო წინადადების ფასზე. ტენდერის მიმდინარეობისას ვაჭრობის შედეგად ფასის მნიშვნელოვანი ოდენობით კლებიდან გამომდინარე (344.7 ათასი ლარით) დადასტურდა ასევე, რომ შესყიდვის სავარაუდო ღირებულება არ იყო ადექვატურად განსაზღვრული.

ალტერნატიულ შემთხვევაში სამინისტროს მიერ ზემოაღნიშნული უფლებამოსილებების გამოყენებით შეეძლო შეეწყვიტა ტენდერი და გამოეცხადებინა ახალი ტენდერი ადექვატური შესყიდვის სავარაუდო ღირებულებით, რითაც დაიზოგებოდა საბიუჯეტო სახსრები მინიმუმ ზემოაღნიშნული ოდენობით.

2012 წლის 26 სექტემბერს სამინისტრომ იმავე ობიექტის (ქ. ბათუმი, ფიროსმანის ქ. N5ა) ავტოფარეხის სამშენებლო სამუშაოების შესრულების მიზნით ტენდერში (SPA120022425) გამარჯვების საფუძველზე გააფორმა ხელშეკრულება იმავე შპს „მშენ-ელექტრო სერვისისთან“ ღირებულებით 79.0 ათასი ლარი. მიღება-ჩაბარების აქტები წარმოდგენილია და ეტაპობრივად გადახდილია 79.0 ათასი ლარი.

სულ სამივე ხელშეკრულების ფარგლებში სამინისტროს მიერ გადახდილია 1,629.4 ათასი ლარი.

---

[8] „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-7 მუხლის მე-2 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის და 1-ლი პუნქტის გ[1] ქვეპუნქტის მიხედვით.

[9] სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2011 წლის 7 აპრილის N9 ბრძანებით დამტკიცებული „გამარტივებული შესყიდვის, გამარტივებული ელექტრონული ტენდერისა და ელექტრონული ტენდერის ჩატარების წესის“ მე-12 მუხლის მე-11 პუნქტის მოთხოვნა.

რაც შეეხება უშუალოდ მიღება-ჩაბარების აქტებში (ფორმა N2-ებში) წარმოდგენილი პირდაპირი ხარჯების (მასალების, შრომის და მანქანა-მექანიზმების ღირებულება) რეალობას, შპს „მშენ-ელექტრო სერვისის“ მიერ შესაბამისი დოკუმენტები წარმოდგენილი იქნა არასისტემატიზებული სახით, რის გამოც აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით ადგილი ჰქონდა აუდიტის მასშტაბის შეზღუდვას.

მიზანშეწონილი იქნება სამინისტროს მიერ სატენდერო დოკუმენტაციით განსაზღვრული მოთხოვნები იყოს რეალური და ცალკეული პრეტენდენტებისთვის არ წარმოადგენდეს ხელოვნურად შემზღუდავ ბარიერს, რაც ხელს შეუწყობს ჯანსაღი კონკურენტული გარემოს შექმნას და საბიუჯეტო სახსრების რაციონალურ ხარჯვას. მაქსიმალურად იქნას თავიდან აცილებული (თუ ეს ობიექტური მიზეზებით არ არის გამოწვეული) ტენდერების მიმდინარეობისას ყველაზე დაბალი ფასების მქონე პრეტენდენტების დისკვალიფიკაცია, განსაკუთრებით ისეთი პრეტენდენტების, რომელთაც სხვა არაერთ ტენდერში გაუმარჯვიათ და სახელშეკრულებო ვალდებულებები ხარვეზების გარეშე აქვთ შესრულებული.

შპს „ბილდინგ ჰაუსთან“ გაფორმებული ხელშეკრულება

2012 წლის 23 მაისს სამინისტრომ გამოაცხადა ელექტრონული ტენდერი (SPA120014421) სამინისტროს ადმინისტრაციული შენობის (ქ. თბილისი, გორგასლის ქ. N16) სარემონტო სამუშაოების შესყიდვაზე. შესყიდვის სავარაუდო ღირებულება განისაზღვრა 470.1 ათასი ლარით. ტენდერში მონაწილეობა მიიღო სამმა პრეტენდენტმა (შპს „ორნამენტმა“, შპს „გლობალ ჰაუსმა“ და შპს „ბილდინგ ჰაუსმა“). გამარჯვებულად გამოცხადდა ყველაზე დაბალი ფასის მქონე შპს „ბილდინგ ჰაუსი“ სატენდერო წინადადებით 449.6 ათასი ლარი. აღნიშნული სამუშაოების შესყიდვაზე 2012 წლის 28 ივნისს სამინისტროსა და შპს „ბილდინგ ჰაუსს“ შორის გაფორმდა ხელშეკრულება N233 ზემოაღნიშნული ღირებულებით. 2012 წლის 4 ოქტომბრის N233/3 შეთანხმებით ხელშეკრულებაში შესული საბოლოო ცვლილებით სახელშეკრულებო ღირებულება შემცირდა 427.1 ათას ლარამდე. წარმოდგენილი ანგარიშ-ფაქტურების და მიღება-ჩაბარების აქტების შესაბამისად აღნიშნული თანხა ეტაპობრივად გადახდილი იქნა.

ადმინისტრაციული დეპარტამენტის უფროსის მოადგილის მოხსენებითი ბარათის (N41749-02, 30.04.2012წ.) მიხედვით შესყიდვის სავარაუდო ღირებულება განსაზღვრული იქნა დეფექტური აქტის საფუძველზე სამინისტროს მიერ მომზადებული კრებსითი და თანდართული ლოკალურ-რესურსული ხარჯთაღრიცხვების მიხედვით, რომელიც შედგება სამი ნაწილისგან: სადემონტაჟო სამუშაოები, სამშენებლო მოსაპირკეთებელი სამუშაოები და საინჟინრო ქსელები (წყალსადენ-კანალიზაცია, ვენტილაცია, ელექტრო-სამონტაჟო სამუშაოები).

ზემოაღნიშნულ კრებსით ხარჯთაღრიცხვაში საინჟინრო ქსელების ლოკალურ-რესურსული ხარჯთაღრიცხვები (N1-3) წარმოდგენილია მხოლოდ ჯამური მონაცემების სახით. მაგალითად, პოზიცია „პლასტმასის მილებით წყალსადენის მოწყობა“ სამუშაოთა მოცულობის მიხედვით წარმოდგენილია სართულებად (სულ 17). სამუშაოთა განფასებაც წარმოდგენილია ერთი სართულის მიხედვით ჯამური ციფრით, რომელიც მრავლდება სართულების რაოდენობაზე. გაშიფრული არ არის თითო სართულის მიხედვით თუ რა მასალები დაიხარჯა, რა რაოდენობის, რა იყო ერთეული მასალის და შრომის ფასი.

ანალოგიურად არის მოცემული სანტექნიკური და ელექტრო-სამონტაჟო სამუშაოების განფასებებიც. ხარჯთაღრიცხვა შედგენილია მოქმედი კანონმდებლობის[10] დარღვევით და ვერ უზრუნველყოფს იმის გარკვევას, თუ ფაქტობრივად რა მოცულობის სამუშაოები შესრულდა, რა მასალები და შრომა გაიხარჯა, და რა იყო მათი რეალური საბაზრო ფასი.

ზემოაღნიშნული ხარჯთაღრიცხვის ანალოგიურად არის მომზადებული შპს „ბილდინგ ჰაუსის“ მიერ ტექნიკური დოკუმენტაციით წარდგენილი, სახელშეკრულებო და მიღება-ჩაბარების აქტებზე თანდართული ლოკალურ-რესურსული ხარჯთაღრიცხვები (N1-3), რომლებიდანაც ვერ ირკვევა სამუშაოთა ფაქტობრივი მოცულობები და ღირებულებები. შპს „ბილდინგ ჰაუსის“ მიერ მასალების შესყიდვის დამადასტირებელი დოკუმენტები წარმოდგენილი იქნა არასრულყოფილად. წარმოდგენილი სასაქონლო ზედნადებების მიხედვით მხოლოდ ცალკეულ პოზიციებში გაირკვა, რომ დამონტაჟებული უნიტაზები (იმექსი 1076) შეძენილია 195 ლარად დღგ-ს ჩათვლით (დღგ-ს გარეშე 165.25 ლარი). მიღება-ჩაბარების აქტებზე თანდართულ ლოკალურ-რესურსულ ხარჯთაღრიცხვებში (N1-3) კი ჩადებულია გაზრდილი ოდენობით (350-400 ლარად დღგ-ს გარეშე).

აღნიშნულ ხელშეკრულების შესწავლასთან დაკავშირებით ადგილი ჰქონდა აუდიტის მასშტაბის შეზღუდვას. მიზანშეწონილი იქნება საკითხის შემდგომი შესწავლა (საკონტროლო აზომვების გზით სამუშაოთა რეალური მოცულობების დადგენა და მათი განფასება).

მიზანშეწონილი იქნება ზემოაღნიშნული სახის არასრულყოფილი და კანონმდებლობის დარღვევით შედგენილი ფორმა N2-ები სამინისტროს მიერ არ იქნას დადასტურებული, რათა თავიდან იქნას აცილებული გაურკვევლობა სამუშაოთა ღირებულებების რეალობასთან და საბიუჯეტო სახსრების რაციონალურ ხარჯვასთან დაკავშირებით.

შპს „ტექნო-პროგრეს-სერვისთან“ გაფორმებული ხელშეკრულება

2012 წლის 6 აპრილს სამინისტრომ გამოაცხადა ელექტრონული ტენდერი (SPA120010641) საქართველოს ფინანსთა სამინისტროს საგამოძიებო სამსახურის საგამოძიებო დეპარტამენტის კახეთის სამმართველოს შენობის (ქ. თელავი) სახურავის გადახურვის სამშენებლო სამუშაოების შესყიდვაზე. შესყიდვის სავარაუდო ღირებულება განისაზღვრა 84.7 ათასი ლარით. ტენდერში მონაწილეობა მიიღო ერთმა პრეტენდენტმა - შპს „ინტელექტენერგო XXI+“-მა, რომლის სატენდერო წინადადებამ შეადგინა 61.8 ათასი ლარი. სატენდერო კომისიის 2012 წლის 1 მაისის სხდომის ოქმით (N2) დაფიქსირდა, რომ შპს „ინტელექტენერგო XXI+“-მა წარმოადგინა 333.1 ათასი ლარის შესრულებული სამუშაოების დამადასტურებელი დოკუმენტები და გადაწყდა, რომ უნდა წარმოედგინა დაზუსტებული ტექნიკური დოკუმენტაცია, კერძოდ, 500.0 ათასი ლარის შესრულებული სამუშაოების დამადასტურებელი დოკუმენტები (როგორც სატენდერო დოკუმენტაციით იყო განსაზღვრული) და შესასრულებელი სამუშაოების დაზუსტებული ხარჯთაღრიცხვა. ამასთან დაკავშირებით პრეტენდენტს ეცნობა 2012 წლის 1 მაისის N02-05/29660 წერილით (რომელიც ერთიან ელექტრონულ სისტემაში აიტვირთა 2012 წლის 1 მაისს 17:06 საათზე).

[10] СНиП IV-8-82 კრებულები, ასევე СНиП 1.02.01-85-ის დანართი N14 (ფორმა N6) - საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების მინისტრის 2010 წლის 18 თებერვლის N251 ბრძანების „საქართველოს ტერიტორიაზე ტექნიკური ზედამხედველობისა და სამშენებლო სფეროში 1992 წლამდე მოქმედი ნორმების, წესების და ტექნიკური რეგულირების სხვა დოკუმენტების გამოყენების შესახებ“ დანართის 1-ლი პოზიციის შესაბამისად.

წერილის მიხედვით ტექნიკური დოკუმენტაციის დაზუსტების ვადად განისაზღვრა არაუგვიანეს 2012 წლის 2 მაისი.

ვინაიდან ზემოაღნიშნულ ვადაში ვერ იქნა წარმოდგენილი დაზუსტებული ტექნიკური დოკუმენტაცია, სატენდერო კომისიის 2012 წლის 3 მაისის სხდომის ოქმის (N3) მიხედვით შპს „ინტელექტენერგო XXI+"-ს დისკვალიფიცირებული იქნა და ტენდერი დასრულდა უარყოფითი შედეგით.

იმ გარემოების გათვალისწინებით, რომ შპს „ინტელექტენერგო XXI+"-მა წარმოადგინა სავარაუდო ღირებულებასთან შედარებით მნიშვნელოვანი ოდენობით დაბალი ფასის მქონე სატენდერო წინადადება, გაუგებარია ის ფაქტი, თუ რატომ მიეცა მას ტექნიკური დოკუმენტაციის (მათ შორის ხარჯთაღრიცხვის) დაზუსტებისთვის 1 სამუშაო დღის ვადა მაშინ, როცა შესაძლებელი იყო მაქსიმალურის - 3 სამუშაო დღის ვადის მიცემაც (ბუნებრივია, რომ სამუშაოების ხარჯთაღრიცხვის დაზუსტება მეტ დროს მოითხოვს, ვიდრე სხვა ნებისმიერი მონაცემის). აღსანიშნავია ასევე, რომ იმ პერიოდისთვის მოქმედი კანონმდებლობით დაკონკრეტებული არ არის, თუ საიდან იწყება ტექნიკური დოკუმენტაციის დაზუსტებისთვის მიცემული ვადის ათვლა. ნორმა, რომლის მიხედვითაც „მიმოწერა/შეტყობინება მიღებულად ჩაითვლება მისი სისტემაში ატვირთვის მომენტიდან", ძალაში შევიდა 2012 წლის სექტემბრიდან[11]. აქედან გამომდინარე აღნიშნული ტენდერის ფარგლებში შეტყობინების მიღებულად ჩათვლასთან დაკავშირებული ვადის ათვლა ლოგიკურად უნდა დაწყებულიყო წერილის მიღების მომენტიდან და არა სისტემაში ატვირთვის მომენტიდან. გაუგებარია ასევე, თუ რა კრიტერიუმით განისაზღვრა სამუშაო გამოცდილება 500.0 ათასი ლარის ოდენობით.

ზემოაღნიშნული სამუშაოების შესყიდვაზე 2012 წლის 3 მაისს ხელმეორედ გამოცხადდა ელექტრონული ტენდერი (SPA120012675) იგივე შესყიდვის სავარაუდო ღირებულებით, რომელიც არ შედგა (პრეტენდენტებმა არ მიიღეს მონაწილეობა). შედეგად ზემოაღნიშნული სამუშაოების შესრულებაზე სამინისტრომ გადაუდებელი აუცილებლობის მოტივით გამარტივებული შესყიდვის გზით 2012 წლის 30 მაისს გააფორმა ხელშეკრულება N210 შპს „ტექნო-პროგრეს-სერვისთან". სახელშეკრულებო ღირებულება განისაზღვრა 84.6 ათასი ლარით, ხოლო მიღება-ჩაბარების აქტის (ფორმა N2) მიხედვით სამუშაოების ღირებულებამ შეადგინა 81.9 ათასი ლარი (20.1 ათასი ლარით მეტი შპს „ინტელექტენერგო XXI+"-ის სატენდერო წინადადებასთან შედარებით).

აღსანიშნავია, რომ საქართველოს კანონმდებლობის მიხედვით თუ გადაუდებელი შესყიდვის აუცილებლობა გამოწვეულია უარყოფითი შედეგით დასრულებული ან არშემდგარი ტენდერის გამო, ასეთ შემთხვევაში გამარტივებული შესყიდვის საშუალებით ხელშეკრულების დადება შეიძლება მხოლოდ იმ მიმწოდებელთან, რომელიც აკმაყოფილებს ტენდერით გათვალისწინებული სატენდერო დოკუმენტაციის მოთხოვნებს. დაუშვებელია მიმწოდებლის გამოცდილება და სხვა პერსონალური მახასიათებლები (წლიური ბრუნვა, დასაქმებულთა რაოდენობა და სხვ.) უარესი/უფრო მცირე იყოს, ვიდრე სატენდერო

[11] კონკურენციისა და სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2011 წლის 7 სექტემბრის N10 ბრძანების („გამარტივებული შესყიდვის, გამარტივებული ელექტრონული ტენდერისა და ელექტრონული ტენდერის ჩატარების წესის დამტკიცების შესახებ" სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2011 წლის 7 აპრილის N9 ბრძანებაში ცვლილებების შეტანის თაობაზე) 1-ლი მუხლის მე-2 პუნქტის მიხედვით.

დოკუმენტაციით განსაზღვრული ანალოგიური მონაცემები[12]. ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე შპს „ტექნო-პროგრეს-სერვისს“ უნდა წარმოედგინა სამუშაო გამოცდილების დამადასტურებელი დოკუმენტები (კერძოდ 500.0 ათასი ლარის სამუშაოების შესრულების დამადასტურებელი დოკუმენტები), რაც არ გაკეთებულა (წარმოდგენილი იქნა მხოლოდ ინფორმაცია წერილის სახით მტკიცებულებების გარეშე). შედეგად შპს „ტექნო-პროგრეს-სერვისთან“ ხელშეკრულება გაფორმდა კანონმდებლობის დარღვევით, რის შედეგადაც აღნიშნული შესყიდვის ფარგლებში სამინისტროს მიერ არაეკონომიურად გახარჯულია 20.1 ათასი ლარი (ტენდერის დროს ერთადერთი პრეტენდენტისთვის ხელოვნურად შემზღუდავი მოთხოვნების არ დაწესების ან ამ პრეტენდენტთან გამარტივებული შესყიდვით ხელშეკრულების გაფორმების შემთხვევაში აღნიშნული თანხა დაზოგილი იქნებოდა).

გარდა ამისა უნდა აღინიშნოს ისიც, რომ საგამოძიებო სამსახურის საგამოძიებო დეპარტამენტის კახეთის სამმართველოს შენობის სახურავის გადახურვის სამუშაოების შესყიდვა განხორციელდა არა იმის გამო, რომ დაზიანებული იყო და შეკეთებას საჭიროებდა, არამედ შესყიდვის საფუძველს წარმოადგენდა კახეთის რეგიონში სახელმწიფო რწმუნებულის - გუბერნატორის მიერ საქართველოს ფინანსთა მინისტრისადმი გაგზავნილი 2012 წლის 2 აპრილის N399 წერილი. წერილში აღნიშნულია, რომ მსოფლიო ბანკისა და შვედეთის საერთაშორისო განვითარების სააგენტოს (SIDA) დახმარებით მიმდინარეობდა ქ. თელავის ისტორიული ნაწილის რეაბილიტაცია. თელავის ისტორიული ნაწილის მხატვრულ-არქიტექტურული კონტექსტის გათვალისწინებით ზემოაღნიშნული შენობა საჭიროებდა პროექტთან შესაბამისობაში მოყვანას და შესაბამისად რეკონსტრუქციას. აქედან გამომდინარე თხოულობდა შესაბამის რეაგირებას. 2012 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესახებ საქართველოს კანონის მიხედვით ფინანსთა სამინისტროს მიერ განსახორციელებელი პროგრამის „სახელმწიფო ფინანსების მართვა“ (კოდი 23 01) მიზნებსა და ამოცანებში არ შედიოდა ქალაქების ისტორიული ნაწილების რეაბილიტაციის დაფინანსება. აღნიშნული მიზნებისთვის სახელმწიფო ბიუჯეტის კანონით და ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოების ბიუჯეტებით გათვალისწინებულია შესაბამისი პროგრამები (მათ შორის დონორების მიერ დაფინანსებული). აქედან გამომდინარე სამინისტროს მიერ ზემოაღნიშნული მიზნით ხარჯის გაწევა არ იყო მიზანშეწონილი.

მიზანშეწონილი იქნება ანალოგიურ შემთხვევებში სამინისტროს მიერ დაცული იქნას სახელმწიფო შესყიდვების კანონმდებლობის სქოლიოში მითითებული ნორმა, რის შედეგადაც უზრუნველყოფილი იქნება საბიუჯეტო სახსრების რაციონალური ხარჯვა.

საინჟინრო-საპროექტო მომსახურებების შესყიდვა

„სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ საქართველოს კანონის 10[1] მუხლის მე-3 პუნქტის „დ“ ქვეპუნქტის საფუძველზე (საქართველოს მთავრობის 2011 წლის 27 დეკემბრის N2576 განკარგულების შესაბამისად) საქართველოს ფინანსთა სამინისტროსა და შპს

[12] სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2011 წლის 7 აპრილის N9 ბრძანებით დამტკიცებული „გამარტივებული შესყიდვის, გამარტივებული ელექტრონული ტენდერისა და ელექტრონული ტენდერის ჩატარების წესის“ მე-3 მუხლის მე-3 პუნქტის მოთხოვნები.

„არქიტექტურული ჯგუფი და პარტნიორებს“ შორის გამარტივებული შესყიდვის გზით 2012 წლის 13 იანვარს გაფორმდა ხელშეკრულება N27 სახელმწიფო შესყიდვაზე. შესყიდვის საგანს წარმოადგენდა საქართველოს ფინანსთა სამინისტროს საგამოძიებო სამსახურის ადმინისტრაციული შენობის და მისი მიმდებარე ტერიტორიის (ქ. თბილისი, უნივერსიტეტის ქ. N2) რეკონსტრუქცია-განახლების საინჟინრო-საპროექტო მომსახურება. სახელშეკრულებო ღირებულება განისაზღვრა 165.0 ათასი ლარის ოდენობით. გაწეული მომსახურების შესაბამისად სამინისტროს მიერ ზემოაღნიშნული თანხა ეტაპობრივად გადახდილი იქნა. ანალოგიურად, საქართველოს მთავრობის ზემოაღნიშნული განკარგულების საფუძველზე სამინისტროსა და შპს „თბილ სახლს“ შორის გამარტივებული შესყიდვის გზით 2012 წლის 13 იანვარს ასევე გაფორმდა ხელშეკრულება N26 (იმავე ობიექტის გარე კომუნიკაციების რეკონსტრუქცია-განახლების საინჟინრო-საპროექტო მომსახურების სახელმწიფო შესყიდვაზე). სახელშეკრულებო ღირებულება განისაზღვრა 45.0 ათასი ლარის ოდენობით. გაწეული მომსახურების შესაბამისად სამინისტროს მიერ ზემოაღნიშნული თანხაც გადახდილი იქნა.

„სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ საქართველოს კანონის 10[1] მუხლის მე-3 პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტის საფუძველზე (გადაუდებელი აუცილებლობის მოტივით) საქართველოს ფინანსთა სამინისტროსა და შპს „არქიტექტურული ჯგუფი და პარტნიორებს“ შორის გამარტივებული შესყიდვის გზით 2012 წლის 26 აპრილს გაფორმდა ხელშეკრულება N159 სახელმწიფო შესყიდვაზე. შესყიდვის საგანს წარმოადგენდა ქ. თბილისში, გორგასლის ქ. N16-ში სსიპ საფინანსო-ანალიტიკური სამსახურისთვის ახალი შენობის მშენებლობის საპროექტო მომსახურება. სახელშეკრულებო ღირებულება განისაზღვრა 70.0 ათასი ლარის ოდენობით. გაწეული მომსახურების შესაბამისად სამინისტროს მიერ ზემოაღნიშნული თანხა ეტაპობრივად გადახდილი იქნა. ანალოგიურად (გადაუდებელი აუცილებლობის მოტივით) საქართველოს ფინანსთა სამინისტროსა და შპს „ჯორჯიან კონტემპორარი კონსტრაკშენს“ შორის გამარტივებული შესყიდვის გზით 2012 წლის 26 აპრილს გაფორმდა ხელშეკრულება N160 სახელმწიფო შესყიდვაზე. შესყიდვის საგანს წარმოადგენდა ქ. თბილისში, გორგასლის ქ. N16-ში ახალი შენობის მშენებლობის საპროექტო მომსახურება. სახელშეკრულებო ღირებულება განისაზღვრა 17.0 ათასი ლარის ოდენობით. გაწეული მომსახურების შესაბამისად სამინისტროს მიერ ზემოაღნიშნული თანხა გადახდილი იქნა.

კონკურსში გამარჯვების საფუძველზე საქართველოს ფინანსთა სამინისტროსა და შპს „მეგავატ.ჯის“ შორის 2012 წლის 2 მარტს გაფორმდა ხელშეკრულება N108 სახელმწიფო შესყიდვაზე. შესყიდვის საგანს წარმოადგენდა ქ. თბილისში, მუხიანის დასახლებაში სსიპ მომსახურების სააგენტოს სასაწყობო ტერიტორიაზე ახალი სასაწყობო ტერმინალის საოფისე შენობის მშენებლობის საპროექტო მომსახურება. სახელშეკრულებო ღირებულება განისაზღვრა 29.0 ათასი ლარის ოდენობით. გაწეული მომსახურების შესაბამისად სამინისტროს მიერ ზემოაღნიშნული თანხა გადახდილი იქნა. ხოლო „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ საქართველოს კანონის 10[1] მუხლის მე-3 პუნქტის „გ“ ქვეპუნქტის საფუძველზე (ხარისხის გაუარესების თავიდან აცილების მოტივით) საქართველოს ფინანსთა სამინისტროსა და იმავე „მეგავატ.ჯის“ შორის 2012 წლის 26 აპრილს გაფორმდა ხელშეკრულება N158 სახელმწიფო შესყიდვაზე. შესყიდვის საგანს წარმოადგენდა ქ. თბილისში, მუხიანის დასახლებაში სსიპ მომსახურების სააგენტოს სასაწყობო ტერიტორიაზე ახალი ადმინისტრაციული შენობის მშენებლობის საპროექტო მომსახურება. სახელშეკრულებო ღირებულება განისაზღვრა 20.0 ათასი ლარის ოდენობით. გაწეული მომსახურების შესაბამისად სამინისტროს მიერ ზემოაღნიშნული თანხა გადახდილი იქნა.

სულ ექვსივე ხელშეკრულების ფარგლებში სამინისტროს მიერ გადახდილია 346.0 ათასი ლარი. აღსანიშნავია, რომ არცერთ ხელშეკრულებას არ ახლავს კალკულაცია და სახელშეკრულებო ღირებულებები დაუსაბუთებელია.

როგორც გაირკვა, საპროექტო მომსახურებების შესყიდვის შემდგომ სამინისტროს არ განუხორციელებია არცერთი ზემოაღნიშნული დაპროექტებული ობიექტის სამშენებლო სამუშაოების შესყიდვა. შესყიდვების განხორციელებაზე პასუხისმგებელი პირების განმარტებით საგამოძიებო სამსახურისთვის და სსიპ საფინანსო-ანალიტიკური სამსახურისთვის განკუთვნილი ობიექტების სამშენებლო სამუშაოების არ განხორციელების მიზეზები უცნობია და ამასთან დაკავშირებით რაიმე სახის დოკუმენტები წარმოდგენილი ვერ იქნა. რაც შეეხება მუხიანის დასახლებაში სსიპ მომსახურების სააგენტოს სასაწყობო ტერიტორიაზე ახალი შენობის მშენებლობას, აღნიშნული სამუშაოების შესყიდვის მიზნით 2012 წლის 22 აგვისტოს გამოცხადდა ელექტრონული ტენდერი (SPA120022424) შესყიდვის სავარაუდო ღირებულებით 1,517.0 ათასი ლარი. სსიპ მომსახურების სააგენტომ 2012 წლის 3 სექტემბრის N19-05/2048 წერილით მიმართა სამინისტროს რომ აღარ ესაჭიროება ზემოაღნიშნული შენობის მშენებლობა. რის შედეგადაც სატენდერო კომისიამ 2012 წლის 4 სექტემბრის სხდომის ოქმის N2 საფუძველზე შეწყვიტა სატენდერო პროცედურები.

აღნიშნული გარემოებები მიუთითებს სამინისტროს მიერ სახელმწიფო შესყიდვების დაგეგმვაში და მის განხორციელებაში არსებულ სერიოზულ ხარვეზებზე, რის შედეგადაც ზემოაღნიშნული ობიექტების საპროექტო მომსახურებების არასაჭირო შესყიდვების გამო სამინისტროს მიერ არაეფექტიანად გახარჯულია 346.0 ათასი ლარი. აღნიშნული გარემოებები მიუთითებს ასევე იმაზე, რომ არავითარ აუცილებლობას არ წარმოადგენდა, რომ ზემოაღნიშნული საპროექტო მომსახურებების შესყიდვები განხორციელებულიყო გამარტივებული შესყიდვის გზით. ტენდერების ან კონკურსების გამოცხადების გზით შესყიდვების განხორციელების შემთხვევაში კონკურენციის გამო შესაძლებელი გახდებოდა მომსახურებების შესყიდვა ბევრად უფრო დაბალ ფასებად.

მიზანშეწონილი იქნება საინჟინრო-საპროექტო მომსახურებების შესყიდვის დროს საფუძვლიანად გაანალიზდეს შესყიდვის აუცილებლობა, რადგან თავიდან იქნას აცილებული საბიუჯეტო სახსრების დაუსაბუთებელი ხარჯვა.

ბიუჯეტის დაგეგმვა და ასიგნებათა გადანაწილება

„2012 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესახებ“ საქართველოს კანონის საწყისი რედაქციით საქართველოს ფინანსთა სამინისტროს (23 00) დაუმტკიცდა წლიური ჯამური ასიგნება 111,732.8 ათასი ლარის ოდენობით (მათ შორის საბიუჯეტო სახსრები - 110,104.0 ათასი ლარი, გრანტები - 1,628.8 ათასი ლარი). აღნიშნული მაჩვენებლები ზუსტად შეესაბამება საბოლოო კორექტირებული საბიუჯეტო განაცხადით მოთხოვნილ მაჩვენებლებს. სამინისტროს აპარატის ასიგნებები გათვალისწინებული იყო პროგრამული კოდით 23 01 (სახელმწიფო ფინანსების მართვა), რომლის საწყისმა დამტკიცებულმა გეგმამ შეადინა 49,359.6 ათასი ლარი (მათ შორის არაფინანსური აქტივების ზრდა 27,439.0 ათასი ლარი).

სამინისტროს მიერ წარდგენილი მოთხოვნების შესაბამისად სახელმწიფო ბიუჯეტის კანონში 2012 წლის 22 მაისის N6241 კანონით შეტანილი ცვლილებით წლიური ჯამური

დამტკიცებული ასიგნება სამინისტროს (23 00) გაეზარდა 123,212.7 ათას ლარამდე. მათ შორის პროგრამული კოდით 23 01 დამტკიცებულმა ასიგნებამ შეადგინა 57,839.5 ათასი ლარი (არაფინანსური აქტივების ზრდა 33,158.9 ათასი ლარი), ხოლო 2012 წლის 25 ივლისის N6630 კანონით შეტანილი ცვლილებით სამინისტროს (23 00) წლიური ჯამური დამტკიცებული ასიგნება შემცირდა 118,212.7 ათას ლარამდე. მათ შორის პროგრამული კოდით 23 01 დამტკიცებულმა ასიგნებამ შეადგინა 52,839.5 ათასი ლარი (არაფინანსური აქტივების ზრდა 28,158.9 ათასი ლარი). 2012 წლის 17 დეკემბრის N87 კანონით შეტანილი საბოლოო ცვლილებით სამინისტროს (23 00) წლიური ჯამური დამტკიცებული ასიგნება შემცირდა 108,212.7 ათას ლარამდე. მათ შორის პროგრამული კოდით 23 01 დამტკიცებულმა ასიგნებამ შეადგინა 42,839.5 ათასი ლარი (არაფინანსური აქტივების ზრდა 19,658.9 ათასი ლარი).

ბიუჯეტის კანონში შეტანილი ზემოაღნიშნული მნიშვნელოვანი ცვლილებები (ძირითადად არაფინანსური აქტივების ზრდის მუხლში) მიუთითებს სამინისტროს მიერ ბიუჯეტის დაგეგმვაში არსებულ ხარვეზებზე. არაფინანსური აქტივების ზრდა ფაქტობრივად არ იყო სათანადოდ დაგეგმილი, რის შედეგადაც წლის განმავლობაში პროგრამული კოდით 23 01 (სახელმწიფო ფინანსების მართვა) არაფინანსური აქტივების ზრდის მუხლით დამტკიცებული ასიგნება საგრანტო დაფინანსების ხარჯზე ჯერ გაიზარდა 5,719.9 ათასი ლარით, ხოლო შემდეგ საბიუჯეტო დაფინანსება შემცირდა ჯერ 5,000.0 ათასი ლარით და ბოლოს 8,500.0 ათასი ლარით.

გარდა დამტკიცებულ გეგმაში განხორციელებული ცვლილებისა, 2012 წლის განმავლობაში ადგილი ჰქონდა აგრეთვე გეგმების დაზუსტებას ასიგნებათა გადანაწილების და საქართველოს მთავრობის სარეზერვო ფონდიდან თანხების გამოყოფის შედეგად (გამოიყო სულ 118.4 ათასი ლარი), რის შემდეგაც სამინისტროს წლიურმა დაზუსტებულმა გეგმამ შეადგინა 108,331.1 ათასი ლარი. ასიგნებათა გადანაწილება რიგ შემთხვევებში განხორციელებულია დაუსაბუთებლად. მაგალითად:

2012 წლის სექტემბერში ფინანსთა სამინისტროს ცენტრალური აპარატის ასიგნებიდან (პროგრამული კოდი 23 01 01) გადანაწილება განხორციელდა შემოსავლების სამსახურის ასიგნებაზე (პროგრამულ კოდზე 23 02) არაფინანსური აქტივების ზრდის მუხლში 1,000.0 ათასი ლარის ოდენობით (2012 წლის 12 სექტემბრის ხარჯთაღრიცხვის ცვლილების ცნობა N714-1). იმ გარემოების გათვალისწინებით, რომ შემოსავლების სამსახურს 2012 წლის დასაწყისში საბანკო ანგარიშებზე ნაშთად ერიცხებოდა საკუთარი შემოსავლებიდან მიღებული 58,394.0 ათასი ლარი, ხოლო წლის ბოლოს ნაშთად ერიცხებოდა აუთვისებელი 16,707.1 ათასი ლარი, საბიუჯეტო სახსრების გაზრდის ზემოაღნიშნული მოთხოვნა დაუსაბუთებელია[13] და ბიუჯეტის არასწორი დაგეგმვის დამადასტურებელია. შესაძლებელი იყო საბიუჯეტო სახსრების დაზოგვა შემოსავლების სამსახურის საკუთარი შემოსავლების გამოყენებით.

„2013 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესახებ“ საქართველოს კანონით საქართველოს ფინანსთა სამინისტროს (23 00) დაუმტკიცდა წლიური ჯამური ასიგნება 100,000.0 ათასი ლარის ოდენობით (მთლიანად საბიუჯეტო სახსრები). პროგრამული კოდით 23 01 (სახელმწიფო ფინანსების მართვა) დამტკიცებულმა გეგმამ შეადგინა 24,382.7 ათასი ლარი.

[13] საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2011 წლის 30 დეკემბრის N637 ბრძანებით დამტკიცებული „სახელმწიფო ბიუჯეტით გამოყოფილი ასიგნებების საბიუჯეტო კლასიფიკაციის მუხლებსა და კოდებს შორის გადანაწილების წესის“ მე-2 მუხლის მე-2 პუნქტის მოთხოვნა.

აღნიშნული პროგრამის ფარგლებში საბიუჯეტო განწერის შედეგად სამინისტროს აპარატს (23 01 01) დაუმტკიცდა წლიური ასიგნება 21,832.7 ათასი ლარის ოდენობით (მათ შორის „საქონელი და მომსახურება“ – 10,999.8 ათასი ლარი, „არაფინანსური აქტივების ზრდა“ – 4,404.7 ათასი ლარი). წლის განმავლობაში ბიუჯეტის კანონში ცვლილება არ შესულა, მაგრამ ადგილი ჰქონდა გეგმების დაზუსტებას ასიგნებათა გადანაწილების საშუალებით. მათ შორის აღსანიშნავია შემდეგი გადანაწილებები:

სამინისტროს საბიუჯეტო დეპარტამენტის 2013 წლის 30 აპრილის N317 ხარჯთაღრიცხვის ცვლილების ცნობით სამინისტროს აპარატის (23 01 01) ასიგნება „არაფინანსური აქტივების ზრდის“ მუხლში შემცირდა 424.0 ათასი ლარით და გადანაწილდა პროგრამაზე 23 03 (ეკონომიკური დანაშაულის პრევენცია) „შრომის ანაზღაურების“ მუხლზე.

2013 წლის 24 მაისის N396 ხარჯთაღრიცხვის ცვლილების ცნობით სამინისტროს აპარატის (23 01 01) ასიგნება „არაფინანსური აქტივების ზრდის“ მუხლში შემცირდა 1,050.0 ათასი ლარით, ხოლო „საქონელი და მომსახურების“ მუხლში - 450.0 ათასი ლარით, რის შედეგადაც სამინისტროს აპარატის „შრომის ანაზღაურების მუხლი“ გაიზარდა 1,500.0 ათასი ლარით.

2013 წლის 31 მაისის N421 ხარჯთაღრიცხვის ცვლილების ცნობით სამინისტროს აპარატის (23 01 01) ასიგნება „საქონელი და მომსახურების“ მუხლში შემცირდა 255.0 ათასი ლარით, რის შედეგადაც სამინისტროს სახაზინო სამსახურის (23 01 03) „შრომის ანაზღაურების მუხლი“ გაიზარდა აღნიშნული თანხით.

2013 წლის 18 ნოემბრის N1057 ხარჯთაღრიცხვის ცვლილების ცნობით სამინისტროს აპარატის (23 01 01) ასიგნება „საქონელი და მომსახურების“ მუხლში შემცირდა 190.0 ათასი ლარით და გადანაწილდა პროგრამაზე 23 03 (ეკონომიკური დანაშაულის პრევენცია) „შრომის ანაზღაურების“ მუხლზე.

2013 წლის 19 დეკემბრის N1235 ხარჯთაღრიცხვის ცვლილების ცნობით სამინისტროს აპარატს (23 01 01) შეუმცირდა ასიგნება „საქონელი და მომსახურების“ მუხლში 574.0 ათასი ლარით, ხოლო „სოციალური უზრუნველყოფის“ მუხლში - 14.0 ათასი ლარით. აღნიშნული თანხებით გაიზარდა როგორც სამინისტროს აპარატის, ასევე სახაზინო სამსახურის და საგამოძიებო სამსახურის ასიგნებები „შრომის ანაზღაურების“ მუხლით.

ზემოაღნიშნული და სხვა გადანაწილებების შედეგად სამინისტროს აპარატის (23 01 01) მთლიანი ასიგნება შემცირდა 2,410.8 ათასი ლარით („საქონელი და მომსახურების“ და „არაფინანსური აქტივების ზრდის“ მუხლების ხარჯზე) და საბოლოო დაზუსტებულმა გეგმამ შეადგინა 19,421.9 ათასი ლარი. აღნიშნული გარემოება მიუთითებს იმ ფაქტზე, რომ სამინისტროს მიერ 2013 წლის ბიუჯეტის დაგეგმვაც არ განხორციელებულა სათანადოდ. „საქონელი და მომსახურების“ და „არაფინანსური აქტივების ზრდის“ მუხლებში საბიუჯეტო განაცხადებით მოთხოვნილი თანხები დაუსაბუთებელია და მნიშვნელოვნად აღემატებოდა რეალურად საჭირო ოდენობებს, რაც ერთგვარ „სარეზერვო ფონდს“ წარმოადგენდა გადანაწილებების გზით „შრომის ანაზღაურების“ მუხლით დამტკიცებული ასიგნების გასაზრდელად შემდგომში პრემიების გაცემის მიზნით. სულ სამინისტროს მასშტაბით (23 00) 2013 წლის განმავლობაში გეგმების დაზუსტების შედეგად „შრომის ანაზღაურების მუხლი“ გაზრდილია 3,013.7 ათასი ლარით.

ბიუჯეტის დაგეგმვაში არსებულ ხარვეზებზე მიუთითებს ასევე ის გარემოებები, რომ პროგრამული კოდით 23 01 (სახელმწიფო ფინანსების მართვა) დამტკიცებული ბიუჯეტის განწერისას სამინისტროს აპარატის 2013 წლის ასიგნებებში (23 01 01) გათვალისწინებული არ იყო გასული წლების კრედიტორული დავალიანებები „ვალდებულებების კლების“ მუხლით და საერთაშორისო ორგანიზაციის წევრობისთვის ყოველწლიური გადასახადი „გრანტების“ მუხლით, რის შედეგადაც საჭირო გახდა ასიგნებათა გადანაწილების განხორციელება. მაგალითად: 2013 წლის 17 აპრილის N275 ხარჯთაღრიცხვის ცვლილების ცნობით განხორციელდა ასიგნების გადანაწილება „საქონელი და მომსახურების“ მუხლიდან „ვალდებულებების კლების“ მუხლში 107.9 ათასი ლარის ოდენობით, ხოლო 2013 წლის 7 აგვისტოს N692 ხარჯთაღრიცხვის ცვლილების ცნობით განხორციელდა ასიგნების გადანაწილება „საქონელი და მომსახურების“ მუხლიდან „გრანტების“ მუხლში 33.8 ათასი ლარის ოდენობით და ა.შ.

მიზანშეწონილი იქნება სამინისტროს მიერ ბიუჯეტის დაგეგმვის და ასიგნებათა გადანაწილების განხორციელებისას გათვალისწინებული იქნას დაქვემდებარებული საჯარო სამართლის იურიდიული პირების საკუთარი შემოსავლების რესურსი, რათა თავიდან იქნას აცილებული საბიუჯეტო სახსრების არააუცილებელი ხარჯვა.

შპს „Engineering Services Company“-სთან გაფორმებული ხელშეკრულება

სამინისტროს საგამოძიებო სამსახურის ადმინისტრაციული შენობის (ქ. თბილისი, უნივერსიტეტის ქ. N2) სასადილოს მოწყობის სამშენებლო-სამონტაჟო სამუშაოების შესყიდვის მიზნით 2013 წლის 28 ნოემბერს საქართველოს ფინანსთა სამინისტრომ გამოაცხადა ელექტრონული ტენდერი (SPA130025960). შესყიდვის სავარაუდო ღირებულება განისაზღვრა 442.3 ათასი ლარით. ტენდერში გაიმარჯვა შპს „Engineering Services Company“-მ, რომელთანაც 2013 წლის 30 დეკემბერს გაფორმდა ხელშეკრულება N451 ღირებულებით 398.0 ათასი ლარი. 2014 წლის 30 აპრილის N451/2 შეთანხმების საფუძველზე სახელშეკრულებო ღირებულება შემცირდა 379.4 ათას ლარამდე. ხელშეკრულების 8.2 პუნქტის მიხედვით სამინისტრომ აიღო ვალდებულება ავანსის სახით გადაერიცხა მომწოდებლისთვის სახელშეკრულებო ღირებულების 70% არაუგვიანეს 2013 წლის 31 დეკემბრისა (ხელშეკრულების გაფორმებიდან მეორე დღე), რომლის შესაბამისადაც წლის ბოლო დღეს სამინისტროს 2013 წლის საბიუჯეტო ასიგნებებიდან ავანსის სახით გადახდილი იქნა 278.6 ათასი ლარი.

აღსანიშნავია, რომ სამშენებლო სამუშაოების შესყიდვის დროს საავანსო თანხის განსაზღვრისას პრაქტიკაში მიღებულია მაქსიმუმ 30%-იანი ნორმა. სხვა ანალოგიურ ხელშეკრულებებთან დაკავშირებით სამინისტრო სარგებლობდა 20%-იანი და 30%-იანი ნორმებით. სამინისტროს აპარატისთვის გამოყოფილი ასიგნების (23 01 01) 2013 წლის დაზუსტებულმა გეგმამ „არაფინანსური აქტივების ზრდის“ მუხლით შეადგინა 3,280.7 ათასი ლარი, ხოლო გადახდამ (ზემოაღნიშნული გადახდილი ავანსის ჩაუთვლელად) შეადგინა 2,576.2 ათასი ლარი. წლის ბოლოს აუთვისებელი რჩებოდა 704.5 ათასი ლარი, რის შედეგადაც არაგონივრული ოდენობის 70%-იანი ავანსის ხარჯზე განხორციელდა აუთვისებელი რესურსის შემცირება და 2014 წლის ასიგნებების ხელოვნურად გაზრდა 2013 წლის აუთვისებელი ასიგნებების ხარჯზე. აღნიშნული გადაწყვეტილება მიზანშეუწონელია და ბიუჯეტის დაგეგმვასა და შესრულებაში არსებულ ხარვეზებზე მიუთითებს.

მიზანშეწონილი იქნება არ განხორციელდეს წლის ბოლოს დაუსაბუთებელი საავანსო გადახდები, რითაც თავიდან იქნება აცილებული ბიუჯეტის აუთვისებელი რესურსის ხელოვნურად შემცირება (რაც გარკვეულ გავლენას ახდენს ასევე ქვეყნის მაკროეკონომიკურ მაჩვენებლებზე).

სსიპ ფინანსთა სამინისტროს აკადემიასთან გაფორმებული ხელშეკრულებები

აუდიტის პერიოდში სამინისტროს აპარატს საჯარო სამართლის იურიდიულ პირ ფინანსთა სამინისტროს აკადემიასთან გაფორმებული აქვს 10 ხელშეკრულება (მათ შორის 2012 წელს - 9 ხელშეკრულება, ხოლო 2013 წელს 1 - ხელშეკრულება) სამინისტროს სხვადასხვა სტრუქტურული ერთეულების თანამშრომელთა და სტაჟიორთა ტრენინგების ჩატარების მიზნით. აღნიშნული მომსახურებებისთვის სამინისტროს მიერ გადახდილია სულ 321.0 ათასი ლარი (მათ შორის: 2012 წელს - 319.2 ათასი ლარი, 2013 წელს - 1.8 ათასი ლარი).

საჯარო სამართლის იურიდიული პირის ფინანსთა სამინისტროს აკადემიის დებულების მიხედვით[14] აკადემიის მიზანია ფინანსთა სამინისტროს სისტემის თანამშრომელთა, სტაჟიორთა და სხვა დაინტერესებულ პირთა პროფესიული განვითარების უზრუნველყოფა. აკადემია ასევე უზრუნველყოფს სხვადასხვა ორგანიზაციებისათვის და დაწესებულებებისთვის (გარდა ფინანსთა სამინისტროს სისტემისა) თანამშრომელთა, სპეციალისტთა, სტაჟიორთა სწავლებას და პროფესიულ მომზადებას. ამ ფუნქციების განხორციელების მიზნით, აკადემია უფლებამოსილია გააფორმოს სათანადო ხელშეკრულებები.

აღსანიშნავია, რომ აკადემიას ზემოაღნიშნული ამოცანების შესასრულებლად სახელმწიფო ბიუჯეტიდან (კოდით 23 05) ყოველწლიურად გამოეყოფა შესაბამისი ასიგნება. მაგალითად, 2012 წლის ბიუჯეტის კანონით მას დამტკიცებული ჰქონდა ასიგნება 700.0 ათასი ლარის ოდენობით. სამინისტროსთან გაფორმებული ხელშეკრულებების საშუალებით ბიუჯეტიდან მიღებული შემოსავალი (როგორც პირდაპირი დაფინანსებით, ასევე არაპირდაპირი გზით მიღებული) გაეზარდა 1,019.2 ათას ლარამდე[15]. ხოლო 2013 წელს ბიუჯეტის კანონით დაუმტკიცდა ასევე 700.0 ათასი ლარის ასიგნება, რომელიც შემდგომ ასიგნებათა გადანაწილებით სამინისტრომ გაუზარდა და დაზუსტებულმა გეგმამ შეადგინა 953.8 ათასი ლარი.

აკადემიის ზემოაღნიშნული ფორმით (სამინისტროსთან გაფორმებული ხელშეკრულებების საშუალებით) დაფინანსების პრაქტიკა მიზანშეუწონელია შემდეგი გარემოებების გამო:

- სახელშეკრულებო ღირებულებების გაანგარიშება ზოგიერთ შემთხვევებში წარმოებს ტრენინგებში მონაწილე პირების რაოდენობიდან გამომდინარე, მაგრამ გაურკვეველია თუ როგორ იანგარიშება ერთი პირის ტრენინგის საფასური (არ არის გაკეთებული ერთეულის ღირებულების კალკულაცია).

[14] საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2011 წლის 27 აპრილის N253 ბრძანებით დამტკიცებული საჯარო სამართლის იურიდიული პირის ფინანსთა სამინისტროს აკადემიის დებულების მე-2 მუხლის 1-ლი, მე-3 და მე-4 პუნქტების მიხედვით.

[15] 700.0+319.2

- ზოგიერთ ხელშეკრულებაში არ არის დაკონკრეტებული, თუ რა სახის ტრენინგებია გათვალისწინებული, დღეში რამდენი საათის განმავლობაში, რაც სახელშეკრულებო ღირებულების გაანგარიშების საფუძველს უნდა წარმოადგენდეს. მაგალითად, 2012 წლის 18 მაისის N199 ხელშეკრულების მიხედვით ირკვევა მხოლოდ ის, რომ ფინანსთა სამინისტროს საგამოძიებო სამსახურის 32 სტაჟიორისთვის 2 თვიანი სატრენინგო მომსახურების ღირებულებამ შეადგინა 83.9 ათასი ლარი (ერთი სტაჟიორის სატრენინგო მომსახურება 2.6 ათასი ლარი). სამინისტრო არ აწარმოებს ასევე ინფორმაციის შეგროვებას და ანალიზის გაკეთებას იმასთან დაკავშირებით, თუ ზემოაღნიშნული სტაჟიორებიდან რამდენი დასაქმდა საგამოძიებო სამსახურში (ანუ რამდენად ეფექტურად იქნა გახარჯული საბიუჯეტო სახსრები).

- სამინისტროში წარდგენილი ფინანსური ანგარიშგების მიხედვით (ბალანსის დანართი ფორმა N4) სსიპ ფინანსთა სამინისტროს აკადემიას 2012 წლის ბოლოს საბანკო ანგარიშებზე ნაშთად დარჩა აუთვისებელი ეკონომიკური საქმიანობით მიღებული შემოსავლები 210.7 ათასი ლარის ოდენობით, რაც იმაზე მიუთითებს, რომ შესაძლებელი იყო საბიუჯეტო სახსრების გარკვეული ნაწილის დაზოგვა ზემოაღნიშნული ხელშეკრულებების საფუძველზე აკადემიისთვის გადახდილი თანხებიდან. აღნიშნული მიუთითებს ასევე აკადემიის ბიუჯეტის დაგეგმვაში არსებულ ხარვეზებზე.

ზემოაღნიშნული გარემოებებიდან გამომდინარე და აგრეთვე იმის გათვალისწინებით, რომ სსიპ ფინანსთა სამინისტროს აკადემია შექმნილია ძირითადად ფინანსთა სამინისტროს სისტემის თანამშრომელთა პროფესიული განვითარების უზრუნველსაყოფად, მიზანშეწონილი იქნება აკადემიამ განახორციელოს სამინისტროს სისტემის თანამშრომელთა მომსახურება ანაზღაურების გარეშე, რისთვისაც აუცილებელი იქნება მისი საბიუჯეტო ასიგნებები დაიგეგმოს შესაბამისად (წინასწარ დაიგეგმოს ტრენინგები და გათვალისწინებული იქნას ტრენინგებთან დაკავშირებული ყველა ხარჯი). ხოლო სათანადო ანაზღაურებით აკადემიამ მომსახურება გაუწიოს მხოლოდ სხვა საბიუჯეტო თუ არასაბიუჯეტო ორგანიზაციებს.

არაფინანსური აქტივების მიღება-გასვლა

2013 წლის 1 იანვრის მდგომარეობით სამინისტროს აპარატს ბალანსზე ერიცხებოდა 23,226.6 ათასი ლარის არაფინანსური აქტივები. მათ შორის: მატერიალური მარაგები - 192.6 ათასი ლარი, ძირითადი აქტივები - 19,966.3 ათასი ლარი, გრძელვადიანი მცირეფასიანი აქტივები - 93.9 ათასი ლარი, ფასეულობები - 1.1 ათასი ლარი, არაწარმოებული აქტივები - 2,972.7 ათასი ლარი. წლის განმავლობაში არაფინანსური აქტივების შეძენების, გამოყენების, ძირითადი კაპიტალის მოხმარების, იმავე დონის სახელმწიფო ერთეულებიდან მიღებისა და გადაცემების შედეგად 2014 წლის 1 იანვრის მდგომარეობით სამინისტროს ბალანსზე რიცხულმა არაფინანსური აქტივების ოდენობა შემცირდა 1396.6 ათასი ლარით და შეადგინა 21.830.0 ათასი ლარი. მათ შორის: მატერიალური მარაგები - 240.2 ათასი ლარი, ძირითადი აქტივები - 18,536.6 ათასი ლარი, გრძელვადიანი მცირეფასიანი აქტივები - 83.8 ათასი ლარი, ფასეულობები - 1.1 ათასი ლარი, არაწარმოებული აქტივები - 2,968.3 ათასი ლარი.

2013 წლის განმავლობაში არაფინანსური აქტივების კლების ერთერთი ძირითადი მიზეზია ფინანსთა სამინისტროს 2013 წლის 24 მაისის N161 ბრძანების შესაბამისად სამინისტროს

აპარატის ბალანსზე რიცხული მოძრავი ქონების სსიპ საქართველოს ფინანსთა სამინისტროს მომსახურების სააგენტოსთვის განსაკარგავად გადაცემა (საბალანსო ღირებულებით სულ 1,056.6 ათასი ლარი). გადაცემული ქონებიდან აღსანიშნავია 3500 ერთეული საკონტროლო სალარო აპარატი „მერკური 130“ საბალანსო ღირებულებით 875.0 ათასი ლარი. აღნიშნული სალარო აპარატები შეძენილი იყო აუდიტის პერიოდამდე (2009 წელს) სსიპ შემოსავლების სამსახურითვის, მაგრამ გაურკვეველი მიზეზით გადაცემული არ იქნა.

„საგადასახადო კონტროლის განმახორციელებელი პირის შერჩევისა და საგადასახადო კონტროლის განხორციელების, მიმდინარე კონტროლის პროცედურების ჩატარების, სასაქონლო-მატერიალურ ფასეულობათა ჩამოწერის, საგადასახადო დავალიანების გადახდევინების უზრუნველყოფის ღონისძიებების განხორციელების, სამართალდაღვევათა საქმისწარმოების წესის დამტკიცების თაობაზე“ საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2010 წლის 31 დეკემბრის №994 ბრძანებაში ცვლილების შეტანის შესახებ საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2014 წლის 28 ივლისის №224 ბრძანების 1-ლი მუხლის მე-3 პუნქტის მიხედვით 2015 წლის 1 იანვრიდან საკონტროლო-სალარო აპარატის გამოყენების ვალდებულების მქონე პირების მიერ მომხმარებელთან ნაღდი ფულით ანგარიშსწორება უნდა განხორციელდეს მხოლოდ GPRS და CRYPTO-ს მოდულის ფისკალური საკონტროლო-სალარო აპარატებით.

აქედან გამომდინარე შეძენილი ზემოაღნიშნული აპარატები („მერკური 130“) ამჟამად გამოუსადეგარია. შედეგად არაეფექტიანად გაიხარჯა 875.0 ათასი ლარი.

ავტომანქანების ჩანაცვლება

ბალანსზე რიცხული ავტომობილების ახალი ავტოსატრანსპორტო საშუალებებით ჩანაცვლების მიზნით სამინისტრომ 2012 წლის განმავლობაში სხვადასხვა მიმწოდებლებთან გააფორმა 7 ხელშეკრულება, რომელთა საფუძველზე 23 ერთეული ავტომანქანა (შეფასებული ჯამურად 436.1 ათას ლარად) ჩანაცვლებული იქნა 17 ერთეული ახალი ავტოსატრანსპორტო საშუალებით (ჯამური ღირებულებით 648.2 ათასი ლარი), რისთვისაც მიმწოდებლებისთვის ანაზღაურებულმა ჯამურმა თანხამ შეადგინა 212.1 ათასი ლარი. 2013 წლის განმავლობაში სამინისტრომ სხვადასხვა მიმწოდებლებთან გააფორმა 8 ხელშეკრულება, რომელთა საფუძველზე 73 ერთეული ავტომანქანა (შეფასებული ჯამურად 765.0 ათას ლარად) ჩანაცვლებული იქნა 73 ერთეული ახალი ავტოსატრანსპორტო საშუალებით (ჯამური ღირებულებით 2,618.2 ათასი ლარი), რისთვისაც მიმწოდებლებისთვის ანაზღაურებულმა ჯამურმა თანხამ შეადგინა 1,853.2 ათასი ლარი. მათ შორის აღსანიშნავია შემდეგი:

ავტომანქანების ჩანაცვლებასთან დაკავშირებით გამარტივებული შესყიდვის საშუალებით ფიზიკურ პირ გიორგი ქოქოსაძესთან 2012 წლის 18 დეკემბერს გაფორმებული იქნა N448 ხელშეკრულება, რომლის საფუძველზე მიწოდებული იქნა „ჰიუნდაის“ მარკის 11 ერთეული ახალი ავტომანქანა 271.1 ათას ლარად. ჩასანაცვლებელი 11 ერთეული ავტომანქანის ღირებულება ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიუროს ექსპერტიზის N044307-2012/10/1 და N010057812 დასკვნების მიხედვით განისაზღვრა ჯამურად 242.0 ათასი ლარის ოდენობით. მოგვიანებით, იმავე ექსპერტიზის ეროვნული ბიუროს სასაქონლო და ფინანსური დეპარტამენტის უფროსის 2012 წლის 6 დეკემბრის N5010131612 წერილით სამინისტროს ეცნობა, რომ აღნიშნული ღირებულება შესაძლებელი იყო შემცირებული ყოფილიყო 15%-ით. აღნიშნულის გათვალისწინებით

სამინისტრომ ჩასანაცვლებელი ავტომანქანების ღირებულება შეამცირა 205.7 ათას ლარამდე. შესაბამისად მიმწოდებლისთვის ასანაზღაურებელი თანხა (ფასთა სხვაობა) გაიზარდა 36.3 ათასი ლარით და შეადგინა 65.4 ათასი ლარი (271.1-205.7). აღსანიშნავია, რომ უშუალოდ ექსპერტიზის განმახორციელებელი ექსპერტის მიერ ზემოაღნიშნული დასკვნების მიხედვით ფასდაკლების შესაძლებლობა არ არის დაფიქსირებული. შესაბამისად გაუგებარია მოგვიანებით დეპარტამენტის უფროსის წერილის გამოგზავნის მოტივი. აღნიშნული ხელშეკრულების ფარგლებში ჩასანაცვლებელი ავტომანქანების სიაში იყო 2011 წლის გამოშვების „TOYOTA LANDCRUISER LC150“ ძრავის მოცულობით 2700სმ³, ავტომანქანის გარბენი შეადგენდა 1555 კმ-ს, ხოლო სავალი ნაწილები და ძალური აგრეგატები იმყოფებოდა ტექნიკურად გამართულ მდგომარეობაში. აღნიშნული ავტომანქანა ექსპერტიზის დასკვნის მიხედვით შეფასებული იქნა 49.0 ათას ლარად, ხოლო 15%-იანი ფასდაკლების შემდეგ მიმწოდებელს გადაეცა 41.6 ათას ლარად. გაურკვეველია სრულიად ახალი ავტომანქანის ჩანაცვლების მიზანი და ამ მიზნით საბიუჯეტო სახსრების ხარჯვის მოტივი. მით უფრო, რომ რამდენიმე თვის შემდეგ სამინისტროს მიერ შეძენილი იქნა იმავე კლასის 2 ერთეული ავტომანქანა. მათ შორის ერთერთი („TOYOTA LANDCRUISER PRADO 3.0L“) დაახლოებით ანალოგიური ტექნიკური მონაცემებით - 95.1 ათას ლარად. შედეგად გაწეულია არააუცილებელი (არასაჭირო) ხარჯი 53.5 ათასი ლარის ოდენობით (95.1-41.6).

წარმოდგენილი დოკუმენტებით ასევე გაირკვა, რომ მოწოდებული 11 ერთეული „ჰიუნდაის“ მარკის ავტომანქანა მიმწოდებლის მიერ შეძენილი იქნა შპს „ჰიუნდაი ცენტრი საქართველოსგან“ 257.3 ათას ლარად, რომლებიც სამინისტროს მიეწოდა 13.8 ათასი ლარის ფასნამატით (271.1-257.3).

შპს „ქარ რენთ ენდ თრეიდ-ინ ქომფანისთან“ გაფორმებული 2012 წლის 22 მარტის N122 ხელშეკრულების საფუძველზე სამინისტროსთვის 16.6 ათასი ლარიანი ფასნამატით (136.3 ათას ლარად) მიწოდებული იქნა 2012 წელს გამოშვებული ავტომანქანა „Mercedes-Benz E350“, რომელიც მის მიერ შეძენილი იქნა შპს „აკასგან“ 119.7 ათას ლარად. ჩანაცვლებული 5 ერთეული ავტომანქანიდან (რომელიც ჯამურად შეფასდა ასევე 136.3 ათას ლარად) ერთერთი იყო 2010 წლის გამოშვების "Mercedes-Benz E-350“, გარბენი 27715 კმ, ტექნიკურად გამართულ მდგომარეობაში. რომელიც ექსპერტის დასკვნის მიხედვით შეფასებული იყო 65.7 ათას ლარად. გაურკვეველია, თუ რა აუცილებლობას წარმოადგენდა პრაქტიკულად ახალი ავტომანქანის იმავე მარკის ავტომანქანით ჩანაცვლება, რის შედეგადაც სამინისტროს მიერ გაწეული იქნა არასაჭირო ხარჯი. კერძოდ, კომპანიას (შპს „ქარ რენთ ენდ თრეიდ-ინ ქომფანი“) დამატებით გადასცა კიდევ 4 ერთეული ავტომანქანა ექსპერტის მიერ შეფასებული ღირებულებით 70.6 ათასი ლარი. რეალურად კი კომპანიამ ჩანაცვლებული 5 ერთეულიდან 4 ერთეულის რეალიზაცია მოახდინა 114.8 ათას ლარად (19.5 ათასი ლარით მეტად მათ შეფასებულ ღირებულებასთან შედარებით), ხოლო ერთი ერთეული კი (41.0 ათას ლარიანი) აუდიტის მიმდინარეობის დროისთვის კომპანიას ბალანსზე ჰქონდა. აღნიშნული ხელშეკრულების ფარგლებში (N122) კომპანიამ როგორც სამინისტროსგან მიღებული, ასევე მისთვის მიწოდებული ავტომანქანების რეალიზაციით მოიგო მინიმუმ 36.1 ათასი ლარი (19.5+16.6).

ცალკეულ შემთხვევებში მიმწოდებლებთან გაფორმებული ხელშეკრულებების მიხედვით, ჩასანაცვლებელი ავტომანქანების ჯამური ღირებულება მოწოდებული ავტომანქანების ღირებულებასთან შედარებით პროცენტულად იმდენად მცირეა, რომ ახალი ავტოსატრანსპორტო საშუალებების ტენდერით შესყიდვის შემთხვევაში მაღალი

ალბათობით შესაძლებელი იქნებოდა ღირებულება შემცირებულიყო ზემოაღნიშნულ პროცენტზე მეტი ოდენობით. ამასთან შემსყიდველ ორგანიზაციას არ წარმოექმნებოდა დამატებით ვალდებულება მის ბალანსზე რიცხული ავტომანქანების მიმწოდებლისთვის გადაცემასთან დაკავშირებით, რითაც დაიზოგებოდა როგორც საბიუჯეტო სახსრები, ასევე სახელმწიფო ქონება. მაგალითად, შპს „იბერია ავტოსთან“ გაფორმებული 2013 წლის 25 მარტის N101 ხელშეკრულების მიხედვით ჩასანაცვლებელი 3 ერთეული ავტომანქანის ღირებულება (6.2 ათასი ლარი), მიწოდებული სამი ერთეული ავტომანქანის ღირებულების (142.8 ათასი ლარი) 4.3% -ს შეადგენდა (ფულადი სახით ანაზღაურდა ღირებულების 95.7%). ხოლო შპს „ავტო თრეიდ ინ“-თან გაფორმებული 2013 წლის 21 აგვისტოს N279 ხელშეკრულების მიხედვით ჩასანაცვლებელი ერთი ერთეული ავტომანქანის ღირებულება (2.5 ათასი ლარი) მიწოდებული ერთი ერთეული ახალი ავტომანქანის ღირებულების (53.9 ათასი ლარი) 4.6% -ს შეადგენდა (ფულადი სახით ანაზღაურდა ღირებულების 95.4%).

შპს ,,ქარ რენთ ენდ თრეიდ-ინ ქომფანი’’- ის მიერ 2 ერთეული ავტომანქანა "Toyota Land Cruiser Prado“ შპს ,,ტოიოტა ცენტრი თბილისისგან" შეძენილი იქნა 95.1 და 119.0 ათას ლარად, რომლებიც 2013 წლის 21 აგვისტოს N278 ხელშეკრულების საფუძველზე სამინისტროს მიეწოდა შესაბამისად 101.1 და 124.5 ათას ლარად (6.0 და 5.5 ათასი ლარის ფასნამატებით), ამასთან ზემოაღნიშნული ავტომანქანების სანაცვლოდ მისთვის გადაცემულია 2 ერთეული ავტომანქანა (ღირებულებით 71.5 ათასი ლარი) და გადახდილია თანხა 154.1 ათასი ლარი. ჩანაცვლებული ავტომანქანიდან ერთერთია 2011 წლის გამოშვების „Toyota Land Cruiser 200“ ექსპერტიზის მიერ შეფასებული ღირებულებით 70.0 ათასი ლარი. რეალურად კი ეს ავტომანქანა კომპანიის მიერ შემდგომ რეალიზებული იქნა 86.4 ათას ლარად. ამ შემთხვევაშიც გაურკვეველია, თუ რა აუცილებლობას წარმოადგენდა გამართულ მდგომარეობაში მყოფი მაღალი გამავლობის ავტომანქანის (გარბენი 49503 კმ) ჩანაცვლება დაახლოებით იმავე კლასის მქონე ახალი ავტომანქანით, რის შედეგადაც არააუცილებელი საჭიროებისთვის გაიხარჯა საბიუჯეტო სახსრები.

შპს „ქარ რენთ ენდ თრეიდ-ინ ქომფანისთან“ გაფორმებული 2013 წლის 21ივნისის N221 ხელშეკრულების მიხედვით მიწოდებული იქნა 25 ერთეული ავტომანქანა „HYUNDAI“ (ჯამური ღირებულებით 583.5 ათასი ლარი), რომლებითაც ჩანაცვლებული იქნა ბალანსზე მყოფი ამავე რაოდენობის სხვადასხვა ავტომანქანები, ექსპერტიზის დასკვნის მიხედვით ჯამური ღირებულებით 276.1 ათასი ლარი. ექსპერტიზის ამავე დასკვნის მიხედვით შესაძლებელი იყო განხორციელებულიყო ფასდაკლება 10%-ის ოდენობით ავტომანქანების ერთიანად რეალიზაციის შემთხვევაში. გაურკვეველი მოტივით სამინისტროს მიერ ექსპერტიზის ეროვნულ ბიუროში გაგზავნილი იქნა 2013 წლის 20 ივნისის N02-04/48151 წერილი, რომლითაც ითხოვდა ჩასანაცვლებელი ავტომანქანების ღირებულებაზე ფასდაკლების პროცენტის განსასაზღვრად რეკომენდაციის მიცემას (მაშინ, როცა ფასდაკლების პროცენტი არსებული დასკვნით უკვე გათვალისწინებული იყო). ექსპერტიზის ეროვნული ბიუროს 2013 წლის 21 ივნისის N5002379213 წერილით გამოგზავნილი ახალი (N002608613) დასკვნით ფასდაკლების პროცენტი გაიზარდა და დაფიქსირდა, რომ ავტომობილების ერთიანად რეალიზების შემთხვევევაში შესაძლებელი იქნებოდა ღირებულების 10-15%-ით შემცირება. აღნიშნული დასკვნის საფუძველზე ჩასანაცვლებელი 25 ერთეული ავტომანქანის ღირებულება (276.1 ათასი ლარი) შემცირებული იქნა დაახლოებით 13%-ით, რის შედეგადაც გადასახდელი თანხის ოდენობა გაიზარდა 36.4 ათასი ლარით და შეადგინა 343.8 ათასი ლარი.

ანალოგიურად შემცირებული იქნა ჩასანაცვლებელი ავტომანქანების ღირებულებები სხვა შემთხვევებშიც. მაგალითად: 2013 წლის 26 ივნისს შპს „ქარ რენთ ენდ თრეიდ-ინ ქომფანისთან'' გაფორმებული N223 ხელშეკრულების ფარგლებში ჩასანაცვლებელი ავტომანქანების ღირებულებები ჯამში შემცირებულია 9.7 ათასი ლარით. ფიზიკურ პირ გიორგი ქოქოსაძესთან 2013 წლის 25 მარტს გაფორმებული N100 ხელშეკრულების ფარგლებში ჩასანაცვლებელი ავტომანქანების ღირებულება შემცირებულია 6.3 ათასი ლარით. ხოლო 2013 წლის 29 მარტს შპს "სენა მოტორსთან" გაფორმებული N119 ხელშეკრულების ფარგლებში ავტომანქანების ღირებულება შემცირებულია 11.0 ათასი ლარით (დეტალური ინფორმაცია იხილე დანართში ელექტრონული სახით).

მიზანშეწონილი იქნება არ განხორციელდეს ახალი და ვარგის მდგომარეობაში მყოფი ავტომანქანების ჩანაცვლება; ძველი ექსპლუატირებული ავტომანქანების შეცვლის აუცილებლობის შემთხვევაში ჩატარდეს ეფექტიანობის კვლევა ჩანაცვლებასა და ტენდერებით შესყიდვის განხორციელებასთან მიმართებით და დასაბუთებულად იქნას მიღებული გადაწყვეტილება შესყიდვის საშუალების შერჩევასთან დაკავშირებით; გამარტივებული შესყიდვის საშუალების გამოყენებისას შესყიდვები განხორციელდეს უშუალოდ იმპორტიორი კომპანიების საშუალებით და არა შუამავალი კომპანიების მეშვეობით, რაც განაპირობებს საბიუჯეტო სახსრების არარაციონალურ ხარჯვას.

შპს „დიანასთან“ გაფორმებული ხელშეკრულებები

სამუშაო ტანსაცმლის, ბამბის ქსოვილის მაისურების და ქურთუკების/პალტოების შესყიდვის მიზნით 2013 წლის 11 ოქტომბერს სამინისტრომ გამოაცხადა გამარტივებული ელექტრონული ტენდერი (SPA130022421) შესყიდვის სავარაუდო ღირებულებით 59.8 ათასი ლარი. სატენდერო კომისიის გადაწყვეტილებით (სატენდერო კომისიის სხდომის ოქმი N04, 28.10.2013წ.) ტენდერი დასრულდა უარყოფითი შედეგით იმ მოტივით, რომ მასში მონაწილე ერთადერთი პრეტენდენტის (შპს „მოდელების სახლი მატერია“) მიერ წარმოდგენილი ქართული წარმოების საქონლის ნიმუშები არ შეესაბამებოდა სატენდერო დოკუმენტაციით განსაზღვრულ მოთხოვნებს. საფუძვლად მოტანილია ფინანსთა სამინისტროს საგამოძიებო სამსახურის ეკონომიკური დეპარტამენტის უფროსის 2013 წლის 25 ოქტომბრის N7253/15-05 წერილი, რომელსაც ახლავს საგამოძიებო სამსახურის სპეციალური დანიშნულების რაზმის უფროსის მოადგილის პატაკი. პატაკში აღნიშნულია, რომ საქონლის ნიმუშები არც ვიზუალურად და არც ხარისხობრივად არ შეესაბამებოდა მათ მიერ მიწოდებულსა და ტენდერში დაფიქსირებულ მოთხოვნებს. თუმცა არ არის დაკონკრეტებული, თუ რა მოთხოვნებს ვერ აკმაყოფილებდა პრეტენდენტის მიერ წარმოდგენილი საქონლის ნიმუშები. სატენდერო კომისიამ გადაწყვეტილება მიიღო რაზმის უფროსის მოადგილის ზოგადი დაუსაბუთებელი არგუმენტის საფუძველზე. კანონმდებლობის[16] შესაბამისად შესაძლებელი იყო სატენდერო კომისიაში ჩართული ყოფილიყო ექსპერტი და ჩატარებულიყო საქონლის ექსპერტიზა, რის შემდეგაც შესაძლებელი იქნებოდა ობიექტური დასკვნის გამოტანა.

[16] სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2011 წლის 7 აპრილის N9 ბრძანებით დამტკიცებული „გამარტივებული შესყიდვის, გამარტივებული ელექტრონული ტენდერისა და ელექტრონული ტენდერის ჩატარების წესის“ მე-14 მუხლის მე-3 პუნქტის მიხედვით.

2013 წლის 1 ნოემბერს ზუსტად იმავე ოდენობისა და დასახელების საქონლის შესყიდვის მიზნით გამოცხადდა ორი ტენდერი - SPA130023879 (შესყიდვის სავარაუდო ღირებულებით 52.5 ათასი ლარი) და SPA130023881 (შესყიდვის სავარაუდო ღირებულებით 44.5 ათასი ლარი). ტენდერებში მონაწილეობა მიიღო მხოლოდ ერთმა პრეტენდეტმა - შპს ,,დიანამ" და ორივეში გამარჯვებულად გამოცხადდა. მასთან გაფორმდა ხელშეკრულებები: 2013 წლის 21 ნოემბრის N386 და 2013 წლის 21 ნოემბრის N385 შესყიდვის სავარუდო ღირებულების შესაბამის თანხებზე - 52.5 ათას ლარზე და 44.5 ათას ლარზე. ამასთან აღნიშნული ტენდერების ჯამური სავარაუდო ღირებულება (97.0 ათასი ლარი) 37.2 ათასი ლარით აღემატებოდა უარყოფითი შედეგით დასრულებული ტენდერის სავარაუდო ღირებულებას - 59.8 ათას ლარს.

ზემოაღნიშნული გარემოებები და აგრეთვე ის ფაქტი, რომ გაურკვეველი მიზეზით ახალი ტენდერების გამოცხადებისას გაზრდილი იქნა შესყიდვის სავარაუდო ღირებულება, წარმოშობს გონივრულ ეჭვს, რომ წინასწარ გამიზნული იყო კონკრეტული მომწოდებლისგან კონკრეტული უცხოური წარმოშობის საქონლის შეძენა (ჰონდურასი, დომინიკის რესპუბლიკა, ჩინეთი, აშშ) ნაცვლად ადგილობრივი წარმოებისა, რაც გაუმართლებელია. შედეგად გაწეულია 37.2 ათასი ლარით მეტი ხარჯი.

აღსანიშნავია აგრეთვე, რომ შპს „მოდელების სახლი მატერიას" სამინისტროს სისტემაში შემავალ სსიპ შემოსავლების სამსახურისთვის ელექტრონულ ტენდერში (SPA120011789) გამარჯვების საფუძველზე მიწოდებული აქვს ბევრად უფრო მეტი რაოდენობის ანალოგიური დანიშნულების საქონელი (სხვადასხვა სახის ტანსაცმელი) ღირებულებით 1,064.8 ათასი ლარი და ხარისხთან დაკავშირებით არანაირი პრეტენზია არ გამოთქმულა.

მიზანშეწონილი იქნება სატენდერო კომისიამ პრეტენდენტების მიერ შემოთავაზებული საქონლის ხარისხის განსაზღვრასთან დაკავშირებით გადაწყვეტილებები მიიღოს კომპეტენტური ექსპერტების დახმარებით და არა კონკრეტული ხელმძღვანელი პირების სუბიექტური გემოვნების მიხედვით.

მივლინებები ქვეყნის გარეთ

2012 წლის განმავლობაში ქვეყნის გარეთ მივლინებებზე სამინისტროს აპარატის მიერ გაწეულია 197.9 ათასი ლარის საკასო ხარჯი, ხოლო 2013 წლის განმავლობაში გაწეულია 242.5 ათასი ლარის საკასო ხარჯი. გაირკვა, რომ რიგ შემთხვევებში ადგილი ჰქონდა თანხების ზედმეტად ანაზღაურებას კანონმდებლობით დადგენილ ზღვრულ გასაცემ ნორმებთან შედარებით. აღნიშნული გამოწვეული იყო სხვადასხვა გარემოებებით. კერძოდ:

- ზოგიერთ შემთხვევაში მიწვევებში დაფიქსირებულია, რომ მიმწვევი მხარე ანაზღაურებდა კვების ხარჯებს. მიუხედავად ამისა მოხსენებით ბარათებში (რომელთა საფუძველზეც გამოიცემოდა ბრძანებები მივლინებებთან დაკავშირებით) ეს დაფიქსირებული არ არის. შედეგად მივლინების სადღეღამისო ხარჯები ანაზღაურებულია სრულად, ნაცვლად კანონმდებლობით განსაზღვრული[17] 30%-ისა.

[17] საქართველოს პრეზიდენტის 2005 წლის 20 აპრილის N231 ბრძანებულებით დამტკიცებული „მოსამსახურეთათვის სამსახურებრივი მივლინების ხარჯების ანაზღაურების წესის" მე-11 პუნქტის მიხედვით.

- ზოგიერთ შემთხვევაში გაცემულია სადღეღამისო ნორმაზე დანამატი ისეთ თანამდებობის პირებზე, რომლებსაც კანონმდებლობით არ ეკუთვნოდა.

- გრძელვადიანი მივლინებების დროს სადღეღამისო ხარჯები მივლინების მთელ პერიოდზე ანაზღაურებულია 30 დღემდე პერიოდის კუთვნილი განაკვეთის მიხედვით (რომელიც აღემატება 30 დღის შემდეგი პერიოდის განაკვეთს).

- ზოგიერთ შემთხვევაში დამატებით ანაზღაურებულია სადილის, ტაქსის და ა.შ. ხარჯები, რომელიც კანონმდებლობით გათვალისწინებულია გაცემულ სადღეღამისო ხარჯებში.

მაგალითად:

სამინისტროს 2012 წლის 14 ივნისის N№-246 ბრძანებით შიდა აუდიტის ჰარმონიზაციის სამმართველოს უფროსი და ამავე სამმართველოს მთავარი სპეციალისტი 8 დღით მივლინებული იქნენ უნგრეთში (ქ. ბუდაპეშტი) შიდა აუდიტორთა ასოციაციის სამუშაო შეხვედრაში მონაწილეობის მიღების მიზნით. მიმწვევი მხარე უზრუნველყოფდა კვების ხარჯებს. სადღეღამისო ხარჯები ანაზღაურებულია სრულად (30%-ის ნაცვლად), რის შედეგადაც ორივე თანამშრომელზე ზედმეტად გაცემულია 485.6 ლარი (თითოეულზე 242.8 ლარი).

2012 წლის 31 იანვრის N№-43 ბრძანებით ადმინისტრაციული დეპარტამენტის უფროსის მოადგილე 4 დღით მივლინებული იქნა ავსტრიაში (ქ. ვენა) კომპანია SKIDATA AG წარმომადგენლებთან შეხვედრის მიზნით. მასზე გაცემულია სადღეღამისო ნორმის 70%-იანი დანამატი (რომელიც არ ეკუთვნოდა). ასევე ანაზღაურებულია კუთვნილ ნორმაზე მეტი ოდენობის სასტუმროს ხარჯი. სულ ზედმეტად ანაზღაურებულია 366.3 ლარი.

2013 წლის 23 იანვრის N№-26 ბრძანებით მინისტრის მოადგილე სამუშაო ვიზიტით 10 დღით იმყოფებოდა აშშ-ში. მისთვის კანონმდებლობის დარღვევით დამატებით ანაზღაურებულია სასტუმროს ნომერში შეკვეთილი სადილი 145 ლარის ოდენობით მაშინ, როდესაც კვების ხარჯები გათვალისწინებულია სადღეღამისო ნორმაში.

2013 წლის 23 აპრილის N№-147 ბრძანებით საგადასახადო პოლიტიკის დეპარტამენტის საერთაშორისო დაბეგვრის სამმართველოს უფროსი და ამავე სამმართველოს მთავარი სპეციალისტი 9 დღით მივლინებული იქნენ უნგრეთში (ქ. ბუდაპეშტი) სემინარში მონაწილეობის მიღების მიზნით. მიმწვევი მხარე უზრუნველყოფდა კვების ხარჯებს. სადღეღამისო ხარჯები ანაზღაურებულია სრულად (30%-ის ნაცვლად). გარდა ამისა სემინარი მიმდინარეობდა 27 მაისიდან 31 მაისის ჩათვლით, ხოლო თანხები აუნაზღაურდათ 3 ივნისის ჩათვლით (2 დღის სარგოთი მეტი), რის შედეგადაც ორივე თანამშრომელზე ზედმეტად გაცემულია 752.62 ლარი (თითოეულზე 376.31 ლარი).

2012 წლის 16 მაისის N№-204 ბრძანებით ფისკალური პროგნოზირების დეპარტამენტის უფროსი სპეციალისტი და საგადასახადო პოლიტიკის დეპარტამენტის საერთაშორისო დაბეგვრის სამმართველოს მთავარი სპეციალისტი საერთაშორისო სავალუტო ფონდის ეგიდით გამართულ სემინარში მონაწილეობის მისაღებად გრძელვადიანი სანსახურებრივი მივლინებით (69 დღით) გაგზავნილი იყვნენ ავსტრიაში (ქ. ვენა). მიმწვევი მხარე ანაზღაურებდა საცხოვრებლის ხარჯს სრულად და დღიურ ხარჯს 25 ევროს ოდენობით. სამინისტროს მიერ 30 დღის შემდგომი პერიოდის სადღეღამისო ხარჯები გაცემულია 24 ევროს ოდენობით (49-25), ანუ იმავე ნორმით, როგორსაც ითვალისწინებდა პირველი 30

დღის პერიოდის ნორმა. უნდა ანაზღაურებულიყო დღიურად 10 ევრო (35-25). შედეგად ზედმეტად ანაზღაურებულია 2201.5 ლარი (თითოეულზე 1100.7 ლარი).

ანალოგიური დარღვევებით 2012-2013 წლების განმავლობაში ზედმეტად არის ანაზღაურებული სულ 6.3 ათასი ლარი[18].

ქვეყნის გარეთ მივლინებების დაფინანსებაში არსებული ზემოაღნიშნული ხარვეზების ერთერთი მიზეზი იყო ის გარემოება, რომ მივლინებებთან დაკავშირებული მიწვევები ხშირ შემთხვევაში არ იგზავნებოდა ადმინისტრაციული დეპარტამენტის საფინანსო სამმართველოში და შესაბამისად ამ სტრუქტურის მიერ არ კონტროლდებოდა მიწვევის პირობები (ანაზღაურებას ახდენდნენ უკვე გამოცემული ბრძანების შესაბამისად).

მიზანშეწონილი იქნება ქვეყნის გარეთ მივლინებებთან დაკავშირებული მიწვევები წინასწარ გადაეგზავნოს საფინანსო სამსახურს, რომელიც სამივლინებო ხარჯების ანაზღაურებასთან დაკავშირებით მოახდენს ვიზირებას ბრძანების პროექტზე.

წარმომადგენლობითი ხარჯები

2012 წლის განმავლობაში სამინისტროს მიერ წარმომადგენლობითი ხარჯების მუხლით გაწეულია 154.8 ათასი ლარის ხარჯი, ხოლო 2013 წლის განმავლობაში გაწეულია 268.1 ათასი ლარის ხარჯი. მაგალითად:

სამინისტროს 2013 წლის 11 იანვრის N9 ბრძანებით ადმინისტრაციულ დეპარტამენტს დაევალა სამინისტროს წარმატებული თანამშრომლების დაჯილდოვებასთან დაკავშირებით წვეულების ორგანიზება და შესაბამისი ხარჯების ანაზღაურება 380 პირზე. აღნიშნული წვეულების გამართვისთვის შპს „გუჯარს“ გადაერიცხა 14.0 ათასი ლარი (ა/ფ N8956321, 22.01.2013წ. საფუძველზე).

2013 წლის 23 იანვრის N23 ბრძანებით პოლონეთის ფინანსთა სამინისტროს სახაზინო დაზვერვის დეპარტამენტის დელეგაციის (5 პირი) ვიზიტთან დაკავშირებით ადმინისტრაციულ დეპარტამენტს დაევალა ღონისძიების ორგანიზება (ტრანსპორტი, კვება, სუვენირების შეძენა). ვიზიტი გრძელდებოდა 30 იანვრიდან 2 თებერვლამდე. 30 იანვარს სარესტორნო მომსახურებისთვის (შპს „წისქვილი“) გადახდილია ჯერ 0.3 ათასი ლარი, ხოლო შემდეგ იმავე დღეს საღამოს სარესტორნო მომსახურებისთვის (შპს „მეიდანი ჯი“) გადახდილია 1.5 ათასი ლარი (ინვოისის მიხედვით სუფრა გაშლილი იყო 14 პირზე). მეორე დღეს (31 იანვარს) სარესტორნო მომსახურებისთვის (შპს „ძველი სახლი“) გადახდილია ჯერ 0.4 ათასი ლარი, ხოლო შემდეგ იმავე დღეს საღამოს სარესტორნო მომსახურებისთვის (შპს „კოპალა“) გადახდილია 1.0 ათასი ლარი. ასევე, ვიზიტის ბოლო დღესაც (1 თებერვალი) სარესტორნო მომსახურებისთვის (სს „სასტუმროებისა და რესტორნების მენეჯმენტ ჯგუფი-ემ გრუპი“) გადახდილია ჯერ 0.3 ათასი ლარი, ხოლო შემდეგ იმავე დღეს საღამოს სარესტორნო მომსახურებისთვის (სს „სასტუმროებისა და რესტორნების მენეჯმენტ ჯგუფი-ემ გრუპი“) გადახდილია 1.3 ათასი ლარი.

[18] იხილე დანართი ელექტრონული სახით.

2013 წლის 27 სექტემბრის N319 ბრძანებით პოლონეთის ფინანსთა სამინისტროს სახაზინო დაზვერვის დეპარტამენტის დელეგაციის (ამჯერად 10 პირი) ვიზიტთან დაკავშირებით ადმინისტრაციულ დეპარტამენტს დაევალა ღონისძიების ორგანიზება (ტრანსპორტი, ვახშამი, საჩუქრების და სუვენირების შეძენა). ვიზიტი გრძელდებოდა 30 სექტემბრიდან 4 ოქტომბრის ჩათვლით. აღნიშნულ ღონისძიებაზე წარმომადგენლობითი ხარჯების მუხლით გაწეულია სულ 28.1 ათასი ლარის ხარჯი. მათ შორის 2.0 ათასი ლარი გახარჯულია სასტუმროს მომსახურებაზე, ხუთი დღის განმავლობაში რვაჯერ არის შეკვეთილი სარესტორნო მომსახურება (ჯამურად 23.4 ათასი ლარის) და შეძენილია 2.7 ათასი ლარის საჩუქრები.

ზემოაღნიშნული გაწეული სარესტორნო მომსახურებების დამადასტურებელი დოკუმენტებიდან არ ირკვევა, თუ რამდენ პირზე იშლებოდა სუფრები და სტუმრების გარდა თუ ვინ ესწრებოდა.

2013 წლის 12 აპრილის N104 ბრძანების შესაბამისად ევროპის რეკონსტრუქციისა და განვითარების ბანკის (EBRD) დირექტორთა საბჭოს ვიზიტთან დაკავშირებით რესტორან „მეტეხის ჩრდილში“ გაიმართა ვახშამი, რისთვისაც სს „სასტუმროებისა და რესტორნების მენეჯმენტ ჯგუფი-ემ გრუპისთვის“ გადახდილია 2.2 ათასი ლარი. სუფრა გაშლილი იყო 35 პირზე მაშინ, როდესაც სტუმრების რაოდენობა შეადგენდა 12 პირს.

2013 წლის 19 ივლისის N250 ბრძანებით სამინისტროს ადმინისტრაციულ დეპარტამენტს დაევალა დუშეთის რაიონის სოფელ ბაზალეთში მდებარე სასტუმრო კომპლექსში მინისტრის სათათბირო ორგანოს - მინისტრის მრჩეველთა საბჭოს სხდომასთან დაკავშირებით უზრუნველეყო ღონისძიების ორგანიზება (კვება, ტრანსპორტი) და შესაბამისი ხარჯების ანაზღაურება. აღნიშნული ღონისძიების უზრუნველყოფის მიზნით შპს „ცენტრისთვის“ გადახდილია საკონფერენციო დარბაზის ქირავნობის ღირებულება 1.6 ათასი ლარის ოდენობით, ხოლო სოფელ ნატახტარში მდებარე რესტორან „პაულანერის კოშკში“ გამართული ვახშმისთვის (სულ 50 კაცზე, მათ შორის მრჩეველთა საბჭოს წევრები - 22 კაცი) შპს „MSR“-თვის გადახდილია 2.0 ათასი ლარი.

2013 წლის 17 სექტემბრის N307 ბრძანებით სამინისტროს ადმინისტრაციულ დეპარტამენტს დაევალა ევროპოლისა და ევროპის სხვადასხვა ქვეყნების ექსპერტების ვიზიტთან დაკავშირებით სტუმრების გამასპინძლება რესტორნებში „ძველი მეტეხი“ და „გუჯარი“. აღნიშნული მიზნით შპს „რესტორანი ძველი მეტეხისთვის“ გადახდილია 6.4 ათასი ლარი (ა/ფ ეა-06 3728193), ხოლო შპს „გუჯარისთვის“ გადახდილია 14.8 ათასი ლარი (ა/ფ ეა-06 3857768). დოკუმენტებში დაფიქსირებული არ არის და უცნობია ვახშამზე მყოფი პირების რაოდენობა.

ანალოგიურად, 2013 წლის 23 მაისის N159 ბრძანებით სამინისტროს ადმინისტრაციულ დეპარტამენტს დაევალა საერთაშორისო სავალუტო ფონდის და მსოფლიო ბანკის წევრი ქვეყნების წარმომადგენლების ვიზიტთან დაკავშირებით უზრუნველეყო ღონისძიების ორგანიზება. სულ ღონისძიების ფარგლებში გახარჯულია 71.8 ათასი ლარი.

წარმომადგენლობით ხარჯებთან დაკავშირებული დეტალური ინფორმაცია მოცემულია დანართში.

განხილული შემთხვევები მიუთითებს შიდა კონტროლის სისტემის არსებით სისუსტეზე, რომლის ჩამოყალიბება და სათანადო ფუნქციონირების უზრუნველყოფა „სახელმწიფო შიდა ფინანსური კონტროლის შესახებ“ საქართველოს კანონის თანახმად დაწესებულების ხელმძღვანელის პასუხისმგებლობაა.

შრომის ანაზღაურება

ფინანსთა სამინისტროს აპარატს 2012 წლის განმავლობაში შრომის ანაზღაურების მუხლით გაწეული აქვს 7,038.3 ათასი ლარის საკასო ხარჯი (პროგრამული კოდით 23 01 01). მათ შორის თანამდებობრივი სარგო - 3,560.5 ათასი ლარი, პრემია - 3,237.4 ათასი ლარი (თანამდებობრივი სარგოს 91%), დანამატი - 240.4 ათასი ლარი. 2013 წლის განმავლობაში შრომის ანაზღაურების მუხლით გაწეულია 7,498.6 ათასი ლარის საკასო ხარჯი (პროგრამული კოდით 23 01 01). მათ შორის თანამდებობრივი სარგო - 3,711.0 ათასი ლარი, პრემია - 3,065.7 ათასი ლარი (თანამდებობრივი სარგოს 83%), დანამატი - 721.9 ათასი ლარი.

სამინისტროს აპარატის იმ თანამდებობის პირებს, რომლებსაც 2012 წლის განმავლობაში დანიშნული ჰქონდათ დანამატები (26 პირი), წლის განმავლობაში შრომის ანაზღაურების სახით მიღებული აქვთ ჯამურად 1504.5 ათასი ლარი. მათ შორის თანამდებობრივი სარგო - 464.5 ათასი ლარი, პრემია - 799.6 ათასი ლარი, დანამატი - 240.4 ათასი ლარი (დანამატები დანიშნულია ძირითადად ხელმძღვანელ პირებზე). მათ მიერ წლის განმავლობაში მიღებული პრემიების რაოდენობა საშუალოდ თანამდებობრივი სარგოს 172%-ს შეადგენს.

სამინისტროს აპარატის იმ თანამდებობის პირებს, რომლებსაც 2013 წლის განმავლობაში დანიშნული ჰქონდათ დანამატები (19 პირი), წლის განმავლობაში შრომის ანაზღაურების სახით მიღებული აქვთ ჯამურად 1370.7 ათასი ლარი. მათ შორის თანამდებობრივი სარგო - 466.8 ათასი ლარი, პრემია - 183.5 ათასი ლარი, დანამატი - 720.4 ათასი ლარი. მინისტრის დანამატი დანიშნულია პრემიერ-მინისტრის მიერ. დანარჩენი დანამატები დანიშნულია მინისტრის ბრძანებით ყოველთვიურად მხოლოდ ხელმძღვანელ პირებზე (მინისტრის მოადგილეები, დეპარტამენტის უფროსები და მათი მოადგილეები) „საჯარო სამსახურის შესახებ“ საქართველოს კანონის 37-ე მუხლის მე-2 პუნქტის საფუძველზე, რომელიც ითვალისწინებს დამატებით ანაზღაურებას ზეგანაკვეთური მუშაობისა და განსაკუთრებით საპასუხისმგებლო ფუნქციური დატვირთვისათვის. ხელმძღვანელ პირებზე დანამატის სახით გაცემულმა თანხამ საშუალოდ მათი თანამდებობრივი სარგოს 154% შეადგინა.

გარდა ამისა, თანამშრომელთა წახალისების მიზნით მინისტრის 2013 წლის 8 ნოემბრის N372 ბრძანებით სამსახურებრივ მოვალეობათა სანიმუშო შესრულებისთვის ფასიანი საჩუქრით (მობილური ტელეფონით „IPhone-5”) დაჯილდოვდნენ სამინისტროს სისტემის ხელმძღვანელი პირები - მინისტრი, მინისტრის მოადგილეები, დეპარტამენტების და სამსახურების უფროსები (სულ 19 პირი).

ზემოაღნიშნული მობილური ტელეფონები სამინისტროს უსასყიდლოდ გადმოეცა სსიპ საქართველოს ფინანსთა სამინისტროს მომსახურების სააგენტოდან (როგორც სახელმწიფო საკუთრებაში მიქცეული ქონება) სააგენტოს 2013 წლის 11 სექტემბრის N2993 ბრძანების

შესაბამისად. ბრძანების დანართის მიხედვით ტელეფონები შეფასებულია თითოეული 1000 ლარად.

აღნიშნული ბრძანება გამოცემულია „საჯარო სამსახურის შესახებ“ საქართველოს კანონის 74-ე და 75-ე მუხლების შესაბამისად. აღსანიშნავია, რომ კანონის ზემოაღნიშნული მუხლები არ ვრცელდება სახელმწიფო-პოლიტიკური თანამდებობის პირებზე[19]. შესაბამისად აღნიშნული ბრძანების მინისტრზე გავრცელება სამართლებრივ საფუძველს მოკლებულია.

შრომის ანაზღაურების მუხლით გაწეულ ხარჯებთან დაკავშირებით დეტალური ინფორმაცია მოცემულია დანართში.

მთავარი აუდიტორი
გია ნადარეიშვილი 24.03.2015

უფროსი აუდიტორი
ნესტან ჯანელიძე 24.03.2015წ.

უფროსი აუდიტორი
თენგიზ გურასაშვილი 24.03.2015წ

უფროსი აუდიტორი
პაპუნა ხოფერია 24.03.2015წ

აუდიტორი
ნანა ვაჩაძე 24.03.2015წ

აუდიტორი
ოთარ ღანიშაშვილი 24.03.2015წ

აუდიტორ-ასისტენტი
ნიკოლოზ ღულათავა 24.03.2015წ

[19] „საჯარო სამსახურის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-11 მუხლის 1-ლი პუნქტის მიხედვით.